

من الخلاق السلف

მინ ახლაცი სსაღათი
საღათების ზნეობიდან

აჰმად ფარიყი

من الخلاق السلف

მინ ახლაცი სსალოფი
სალოფების ზნეობიდან

ავტორი: აჰმად ფარიყი

თავი 1

გულწრფელობა მათ ცოდნასა და საქმეში.

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან და საქციელებიდან იყო გულწრფელობა ცოდნასა და საქმეებში რიას ¹ შიშის გამო. ალლაჰის სიტყვა: **‘ჭეშმარიტად, ხალასი რწმენა ალლაჰისაა!...’** ². ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ‘უზენაესი ალლაჰი არ ღებულობს არცერთ საქმეს, თუ არ არის გაკეთებული გულწრფელად, მისი კმაყოფილებისათვის’ ³.

იბრაჰიმ ათ-თაიმი (ალლაჰმა შეიწყალოს) კი ამბობდა: ‘გულწრფელი ის არის, ვინც მალავს თავის კარგ საქმეებს ისე, როგორც ცუდ საქმეებს მალავს’

ამ-შაბიმ (ალლაჰმა შეიწყალოს) თქვა: ‘ეს ყველაფერი არის სწავლულების ზნეობისგან გამომდინარე, და თუ მათ რამე იციან, პრაქტიკაში გამოიყენებენ. მას შემდეგ, რაც ისინი საქმეში გამოიყენებდნენ ცოდნას, ისინი დაკავებულნი იქნებიან ნასწავლის საქმეში მოყვანით და არ ხალხით.’

ფუდაილ იბნ ‘იადი (ალლაჰმა შეიწყალოს) წერდა: ‘თუ დაინახავთ სწავლულს ან თაყვანისმცემელს, რომელსაც სიამოვნებს, როდესაც მის ღვთისმოსაობას ახსენებენ მმართველების და ადამის შვილების წინ, მაშინ იცოდეთ, რომ ის თავს იწონებს.’ ⁴

ასე რომ, გულწრფელობა არის სურვილი ცოდნისა და პრაქტიკის მეშვეობით, რაც გაახლოვებს უზენაეს ალლაჰთან.

თავმომწონეობის ნიშნებს შორის არის სიამოვნების შეგრძნება როცა ქებას იღებ შენი გაკეთებული საქმის გამო. სალაფები ამას დიდ ცოდვად თვლიდნენ, რადგან ეს არის შიქრის მცირე ⁵ ფორმა, რაც დიდი ცოდვებიდან ერთ-ერთია. ძვირფასო ძმებო, დაუკვირდით საკუთარ თავებს თქვენს ცოდნასა და საქმეებში. იტირეთ მათ გამო, თუ ვინმეს შეამჩნევთ, რომ სიამოვნებს თავმომწონეობა. და იცოდეთ, რომ ვისაც უყვარდა ამ ქვეყნად თავმომწონეობა და კარგის მოსმენა მისი ღვთისმოსაობის გამო ⁶, იმ ქვეყნად დამცირებული და გაკიცხული იქნება. ჩვენ კი ღმერთს ვთხოვთ დაგვიფაროს სააქაოშიც და საიქიოშიც.

¹ თავმომწონეობა/სხვის საჩვენებლად საქმეები

² ზუმარ 39:3

³ ნასაი 3140

⁴ ე.ი მას დაემართა რიია - თავმომწონეობა.

⁵ ალლაჰზე თანაზიარი

⁶ შესაძლოა თქვან პიროვნებაზე კარგი მისი ღვთისმოსაობის გამო და ეს გაიგო. აქ მთავარია მისი გული ამას როგორ მიიღებს - იგრძნობს გულში სიამოვნებას თუ არ მიაქცევს ყურადღებას და განდერიდება.

თავი 2

წინდახედულობა საქმეების შესრულებამდე და სიტყვების წარმოთქმამდე.

სალაფების ზნეობის და საქციელების ნაწილი იყო გაჩერება ყველა საქმის და სიტყვის დროს, სანამ არ გაიგებდნენ მის მნიშვნელობას ყურანიდან და სუნნადან. ეს განპირობებული იყო იმის გამო, რომ მათი განცხადება ან ქმედება შეიძლება ქცეულიყო რელიგაში სიახლედ, რომელსაც არ ექნებოდა საფუძველი ყურანსა და სუნნაში. უზენაესმა ალლაჰმა თქვა: **‘და რაც მოგვით შუამავალმა, აიღეთ, ხოლო რაც აგიკრძალათ, თავი შეიკავეთ!’**⁷.

‘დაე, გაფრთხილდნენ ისინი, ვინც ეწინააღმდეგება მის (შუამავლის) ბრძანებას, რათა თავს არ დაატყდეთ განსაცდელი, ანდა არ დაატყდეთ მტანჯველი სასჯელი.’⁸

აგრეთვე, შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: 'ვინც გამოიგონებს ჩვენს საქმეში რამეს, ის იქნება უარყოფილი' იბნ 'ისამ დაამატა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: 'ვინც გააკეთებს საქმეს, რომელზეც არ იყო ჩვენი ბრძანება, უარყოფილი იქნება'⁹

მართლმორწმუნე სალაფები მკაცრად მოუწოდებდნენ თავის ხალხს, რომ შემოიფარგლონ ყურანით და სუნნეთით და თავი შეიკავონ სიახლეებისგან. ხანდახან უმარ ბინ ხატტაბი გადაწყვეტდა საკითხს რომლის გაკეთებაც ჰქონდა განზრახული. თუ მას ეტყოდნენ, რომ ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ეს არასოდეს გაუკეთებია და არც უთქვამსო, მაშინ თავს დაანებებდა იმას რისი გაკეთებაც სურდა. ერთ-ერთმა სალაფმა თქვა: 'ხალხის გზა მოწესრიგებულია ყურანით და სუნნეთით, ისე როგორც ოქროა დახარისხებული (დალაგებული) სხვა ძვირფასეულობისგან'

მათი ყოველი საქმეც და უსაქმურობაც გულწრფელი განზრახვით და შარიათის შესაბამისი იყო. ამის გაგება შეიძლება მხოლოდ შარიათის დადგენილებების საფუძვლიანად შესწავლით.

⁷ ჰაშრ 59:7

⁸ ნურ 24:63

⁹ აბუ დავუდი 4606

თავი 3

საკუთარი საქმეების ღმერთზე მინდობა

სალაფების ჩვეულებებიდან იყო საკუთარი თავების მუდმივად ღმერთზე მინდობა, შვილების და მეგობრების. ისინი მიმართავდნენ ალლაჰს სწორი გზის საჩვენებლად და არასოდეს ეძებდნენ გზას საკუთარი თავისთვის ღმერთზე მინდობის გარეშე. ალლაჰმა თქვა ყურანში, როგორ თქვა ფარაონის სახლეულიდან მორწმუნემ: ‘ მალე გაიხსენებთ, რასაც გეუბნებით. მე კი ვანდობ ჩემს თავს ალლაჰს. ჭეშმარიტად, ალლაჰი ხედავს თავის მსახურებს. და დაიცვა იგი ალლაჰმა სიავისგან, რაც მას უმზაკვრეს, და დაატყდა ფარაონის სახლეულს საშინელი სასჯელი. ¹⁰ უზენაესმა ალლაჰმა აგრეთვე ახსენა ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) საკაბეები. ერთმა კაცმა უთხრა მათ: ‘რომელთაც აუწყეს მორწმუნეებს: "შეიკრიბა ხალხი თქვენს წინააღმდეგ, გეშინოდეთ მათი“. მაგრამ მათ რწმენა ემატებოდათ და ამბობდნენ: საკმარისია ჩვენთვის ალლაჰი, და რა დიდებული მფარველია. და დაბრუნდნენ ალლაჰის წყალობითა და მაღლით ისე, რომ სიკვამლე არ გაჰკარებიათ, რადგან მიჰყვნენ ალლაჰის კმაყოფილებას. და ალლაჰი უდიდესი მაღლით მოსილია. ¹¹

უზენაესმა განმარტა, რომ საქმეების წარმატება არის მასზე მინდობაში. ერთ-ერთმა სალაფმა თქვა: ‘უმჯობესია სწავლულების და მართლების შვილებმა ილოცონ მალულად, ხოლო საქმეები ღმერთს მიანდონ’ აგრეთვე, ღმერთზე მინდობის მაგალითია აბუ ჰურაირას გადმოცემულ ჰადისში:

აბუ ჰურაირა გადმოსცემს: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ერთმა ისრაელის შვილმა მეორეს ათასი დინარის სესხება სთხოვა. მეორე კაცმა მოწმეები მოითხოვა. პირველმა უპასუხა: საკმარისია ალლაჰი როგორც მოწმე. მეორემ უთხრა: 'გარანტია მინდა'. პირველის პასუხი იყო: 'ალლაჰი საკმარისია როგორც გარანტი'. მეორე უთხრა: 'მართალი ხარ' და გარკვეული ვადით ასესხა ფული. მევალე ზღვის გადაღმა წავიდა. სამუშაო რომ დაასრულა გადამზიდს ეძებდა, რათა დროულად მიეცა ვალი, მაგრამ ვერავინ იპოვა. მან აიღო ხის ნაჭერი და გაუკეთა ნახვრეტი, მასში ჩადო გამსესხებლის ათასი დინარი და წერილი, შემდეგ მჭიდროდ დალუქა და თქვა: ო ალლაჰ! შენ კარგად იცი, რომ ამისგან ათასი დინარი ვისესხე, მან მოითხოვა გარანტია, მაგრამ მე ვუთხარი, რომ ალლაჰი საკმარისია როგორც გარანტი და მიიღო ჩემი სიტყვა. შემდეგ მთხოვა მოწმე და მე ვუთხარი, რომ ალლაჰი საკმარისი იყო მოწმედ და მან მიგიღო შენ, როგორც მოწმე. უეჭველად, მისი ფული რომ

¹⁰ ლაფირ 40:44-45

¹¹ ალი იმრან 3:173-174

გადამეხადა, ვერავინ ვნახე ვინც წაიღებდა, ამიტომ მე გადავცემ ამ ფულს შენი სახელით. ამის თქმის შემდეგ მან ხის ნაჭერი ზღვაში ჩააგდო, დაელოდა სანამ შორს არ წაიღო დინებამ. ერთ დღეს გამსესხებელი გამოვიდა თავისი სახლიდან და მივიდა სანაპიროსთან, რათა ენახა, რამე ხომალდი ხომ არ გამოჩენილა, სანაპიროზე ყოფნისას იქვე დაინახა ხის ნაჭერი, რომელშიც მისი ფული იყო ჩადებული. (მან შეშისთვის აიღო ხის ნაჭერი, არ იცოდა რომ მასში ფული იყო) ხის ნაჭერი სახლში წაიღო ცეცხლის დასანთებად, თუმცა შენიშნა რომ უცნაურად იყო დალუქული და როცა გახსნა დაინახა ფული და წერილი. რამდენიმე ხნის ხნის შემდეგ მოვალეც მივიდა და ათასი დინარი მოუტანა და უთხრა: ვფიცავარ ალლაჰს, მე ძალიან ვცდილობდი მეპოვა ნავი, რომ შენი ფული გამომეტანებინა, მაგრამ ვერ ვიპოვე სანამ მე არ წამოვედი. გამსესხებელმა ჰკითხა: რამე გამომიგზავნე? მოვალემ უთხრა: მე გითხარი, რომ სხვა ნავი ვერ ვნახე გარდა იმისა, რომლითაც მოვედი. გამსესხებელმა უთხრა: ალლაჰმა შენი ფული გადმომცა, რომელიც ხის ნაჭრით გამომიგზავნე. ასე რომ, შენ შეგიძლია შეინახო შენი ათასი დინარი და წახვიდე შენს გზაზე.¹²

თავი 4

მუდმივად ერთი ბუნების შენარჩუნების მცდელობა

სალაფების ზნე ჩვეულებებიდან იყო მათი მძიმე შრომა თვალთმაქცობის წინააღმდეგ. მათი ბუნება საჯარო სივრცეშიც და განმარტოვების დროსაც იგივე იყო. ერთხელ უმარ იბნ აბდულ ‘აზიზს ურჩიეს: ო უმარ, იყავი ფრთხილად და ნუ იქნები ალლაჰის მეგობარი საჯაროდ, ხოლო მისი მტერი ფარულად. თუ ვინმეს საჯარო და ფარული ბუნება ერთმანეთს არ ემთხვევა, მაშინ ის თვალთმაქცია, თვალთმაქცები კი ჯოჯოხეთის ყველაზე დაბალ ფენაში იქნებიან.’

ერთ-ერთმა სალაფმა თქვა: უფრთხილდით თვალთმაქცურ შიშს. კითხვას ‘რა არის თვალთმაქცური შიში?’ მან უპასუხა: როდესაც ჩანს, რომ შენს სხეულს ეშინია, ხოლო გულს არ ეშინია’.

ასე რომ ძვირფასო ძმებო, შევხედოთ ჩვენს თავებს. თქვენი საჯარო და ფარული მდგომარეობა ერთიდაიგივეა? მოუხშირეთ პატიების თხოვნას, რადგან იცოდეთ, რომ ვინც ხალხის მიღმა ავლენს იმას, რაც მიგ გულშია - არის თვალთმაქცი. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მახასიათებელი, რომელსაც უზენაესი ალლაჰი ანიჭებს თვალთმაქცებს:

¹² ბუხარი 2291

1. ზამრაცი დამოკიდებულება ლოცვისადმი და ალლაჰის ცოტა ხსენება ლოცვის დროს. ალლაჰის სიტყვა: „უეჭველად, თვალთმაქცები ცდილობენ ალლაჰი მოატყუონ, მაგრამ იგი მოატყუებს მათ. ხოლო თუკი ლოცვად დადგებიან, უხალისოდ აკეთებენ, ხალხის საჩვენებლად, და არ ახსენებენ ალლაჰს მცირედის გარდა.“¹³

2. უბრძანებენ ცუდს და უკრძალავენ კარგს. ალლაჰის სიტყვა:

თვალთმაქცი კაცები და თვალთმაქცი ქალები ერთმანეთის მსგავსნი არიან; ერთმანეთს ცუდი საქმისაკენ მოუწოდებენ, აკავებენ კეთილი საქმისგან და ძუნწობენ. დაივიწყეს ალლაჰი და (ალლაჰმა) დაივიწყა ისინი. სწორედ თვალთმაქცები არიან ზნედაცემულნი.¹⁴

3. მათი მეგობრობა ურწმუნოებთან, როგორც უზენაესმა თქვა:

‘ახარე თვალთმაქცებს, რომ სწორედ მათია მტანჯველი სასჯელი. ვინც მეგობრად ირჩევს ურწმუნოებს, არათუ მორწმუნეებს, პატივს ხომ არ ეძებს მათგან? პატივი კი ალლაჰის წიაღშია სრულიად.’¹⁵

4. მათი უკმაყოფილება ალლაჰის გადაწყვეტილების მიმართ. ალლაჰის სიტყვა: ‘და როცა მათ ეტყვიან: მოდით იმასთან, რაც ალლაჰმა გარდმოავლინა და შუამავალთან, დაინახავ, თვალთმაქცები როგორ გაგეცლებიან სახეშებრუნებულნი.’¹⁶

5. მათი ტყუილი, ღალატი, მოტყუება და შეურაცყოფა კამათის დროს.

აბდულლაჰ იბნ ამრი გადმოსცემს: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ვისაც აქვს ეს ოთხი თვისება თვალთმაქცია (მუნაფიყი) და ვისაც აქვს ერთიც კი ამ ოთხი ჩამოთვლილი თვისებიდან, მას აქვს თვალთმაქცის (მუნაფიყის) ხასიათი, თუკი იგი არ დაძლევს ამას. როდესაც ენდობიან, ღალატობს. როდესაც საუბრობს, ტყუის. როდესაც ვინმე შეუთანხმდება, გასცემს. როდესაც კამათობს (დაობს), იქცევა არაგონივრულად, ცუდი და შეურაცხმყოფელი მანერით.¹⁷

¹³ ნისა 4:142

¹⁴ თავბა 9:67

¹⁵ ნისა 4:138-139

¹⁶ ნისა 4:61

¹⁷ ბუხარი 34

თავი 5

მოთმინება ტირანიის და უსამართლობის დროს

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო მათი დიდი მოთმინება ხელისუფლებაში (მმართველების მხრიდან) მყოფების მხრიდან უსამართლობისა და ტირანიის დროს. ისინი ხვდებოდნენ, რომ მათი მდგომარეობა გამოწვეული იყო მათი ჩადენილი ცოდვების გამო. უზანაესმა თქვა: **ამგვარად დავუდგენთ ზოგ უსამართლოს ზოგიერთს, იმის გამო რაც მოიხვეჭეს.**¹⁸ და ასევე მისი სიტყვა: **ხოლო როცა ვინებეთ დაგველუპა რომელიმე სოფელი, ვუბრძანეთ ფუფუნებით განებივრებულ მის ბინადრებს, მაგრამ ურჩობდნენ მასში და აუხდათ მათ ნათქვამი და გავანადგურეთ განადგურებით.**¹⁹ უმარ იბნ აბდულ აზიზმა თქვა: 'ჰაჯჯაჯ ას-საყაფი იყო უბედურება ალლაჰისგან ხალხის ცოდვების გამო'.

ერთმა ადამიანმა წერილი მისწერა მუჰამმად იბნ იუსუფს, სადაც ასაჩვირებდა და წუხდა მათი მმართველების უსამართლობის გამო. და მან უპასუხა: 'ჩვენ მივიღეთ შენი წერილი, მაგრამ ძვირფასო ძმაო, შენი ცოდნის მიღმა არ არის ის, რომ ცოდვილი ჩივის თავის სასჯელზე. მე რასაც ვხედავ მხოლოდ ისაა, რომ უბედურებაში ცოდვების გამო ხარ.'

ალლაჰი სჯის უსამართლოს სხვა უსამართლოს ხელით და საბოლოოდ ორივეს ცეცხლში აგდებს. აქედან გამომდინარე, უსამართლოზე დახმარება ან მათკენ მიდრეკილება აკრძალულია. ალლაჰის სიტყვა: **და არ გადაიხაროთ იმათკენ, ვინც უსამართლონი არიან, თორემ შეგებებათ ცეცხლი და არავინ გეყოლებათ მფარველი ალლაჰის გარდა, მერე კი არ იქნებით შეწევნულნი.**²⁰

აბდულლაჰ იბნ მას'უდმა თქვა: 'ვინც მხარს დაუჭერს უსამართლოს ან ასწავლის მას არგუმენტებს რათა შეილახოს მუსლიმის უფლება, საკუთარ თავს იგდებს ალლაჰის რისხვის ქვეშ'

თავი 6

მართალ ხალხთან მეგობრობა

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან და მანერებიდან იყო მათი მხურვალე მისწრაფება ალლაჰის კმაყოფილებისკენ, და რომ დახმარებოდნენ შარიათის აღზევებას და მიეცათ შენიშვნა მათზე, ვინც სჩადიოდა აკრძალულს.

¹⁸ ან'ამ 6:129

¹⁹ ისრა 17:16

²⁰ ჰუდ 11:113

ისინი არასოდეს გააკეთებდნენ საქმეს, თუ არ იყო ალლაჰის კმაყოფილებისათვის, და სალაფები ერთმანეთს არასოდეს შეიყვარებდნენ მიწიერი სარგებლის გამო.

ანასი გადმოსცემს: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ვინც ფლობს ამ სამ თვისებას, იგრძნობს რწმენის სიტკბოებას: ვისთვისაც ღმერთი და მისი შუამავალი გახდება სხვა ყველაფერზე ძვირფასი. ვისაც უყვარს, და უყვარს მხოლოდ ღმერთის კმაყოფილებისათვის. ვისაც სძულს ურწმუნოებაში (ქუფრში) დაბრუნება ისე, როგორც სძულს ცეცხლში გადავარდნა.²¹

ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ასევე თქვა: ის, ვინც შეიყვარებს ალლაჰის კმაყოფილებისთვის, შეიძულეს ალლაჰის კმაყოფილებისთვის, გასცემს ალლაჰის კმაყოფილებისთვის, შეაკავებს ალლაჰის კმაყოფილებისთვის, იგრძნობს რწმენის სიტკბოებას.²²

ერთ-ერთმა სალაფმა თქვა: 'მართალ ხალხთან ურთიერთობა, გულში სამართლიანობას ზრდის'

აჰმად ბინ ჰარბმა (ალლაჰმა შეიწყალოს) კი თქვა: 'არაფერია გულისთვის იმაზე სასარგებლო, ვიდრე მართალ ხალხთან შერევა და მათ საქმეზე ყურება, მაშინ, როცა გულისთვის არაფერია იმაზე საზიანო, ვიდრე შერევა ცოდვილებთან და მათ საქმეზე ყურება'

თავი 7

შეშფოთება მიწიერი სიკეთეებით და მისწრაფება საიქიოსთვის

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო იშვიათი სიცილი და იშვიათი ტრაბახი ამქვეყნიური მიღწევებით. სალაფები ამქვეყნიური სარგებლით ტრაბახს, როგორცაა ტანსაცმელი, ცხენოსნობა (თანამედროვე ცხოვრებაში მანქანები), ქორწინება და ა.შ გაურბოდნენ იმის შიშით, რომ ასეთი დროებითი სიამოვნებით შეიძლება იმქვეყნიური ჯილდო - სიამოვნება შემცირებულიყო.

უმარ ბინ ხატტაბმა (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) თქვა: 'მე რომ არ მეშინოდეს ჩემი კარგი საქმეების შემცირების, მივიღებდი მონაწილეობას შენს მდიდრულ გზებში, მაგრამ მე გავიგონე, რომ ალლაჰი საყვედურობდა ზოგიერთ ადამიანს (რომლებიც ჯოჯოხეთში იგზავნება): 'განა თქვენ არ გალიეთ თქვენი სიკეთენი ამქვეყნიურ ცხოვრებაში და ისარგებლეთ მათით.'²³

²¹ ბუხარი 16

²² აბუ დავუდი 4681

²³ აჰყაფ 46:20

ალლაჰის მორჩილი ხალხი სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ ისინი ემზადებიან შემდგომი ცხოვრებისთვის. ასე რომ ძვირფასო ძმაო, დაფიქრდი შენს სულზე და იმაზე, თუ როგორ ხარ ჩაფლული იმის მიმართ უყურადღებობაში და უცოდინრობაში, რაც აახლოვებს ღმერთთან. ასე რომ, მოუხშირეთ პატიების თხოვნას.

ერთმა მართალმა სალაფმა თქვა: თუ შეძლებ, რომ ვერავინ გაჯობოს ალლაჰის კმაყოფილებისთვის სიკეთის კეთებაში, მაშინ ასე გააკეთე' სხვა სალაფმა თქვა: 'თუ ხედავ ისეთს, ვინც გეჯობრება მიწიერ საქმეებში, მაშინ, შენ შეეჯობრე რელიგიის საქმეებში.'

ჰასან ალ-ბასრიმ თქვა: ჩემამადე მოვიდა ამბავი, რომ ერთი მართალი ადამიანი იყო მომთმენი და არ იცინოდა სანამ არ გაიგებდა, თუ სად იქნებოდა მისი საცხოვრებელი, სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში. ის ნამდვილად მტკიცე იყო, ალლაჰმა შეიწყალოს იგი და არ გაუცინია მანამ, სანამ არ შეხვდა ალლაჰს.

თავი 8

მათ ალლაჰის უკმაყოფილებას, ერჩივნათ სიკვდილი

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო ის, რომ მათ ერჩივნათ სიკვდილი ვიდრე ისეთი საქმის შესრულება, რაც გამოიწვევდა ალლაჰის უკმაყოფილობას. ზოგადად, მორწმუნეს სიკვდილი არ უნდა სურდეს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევის დროსაა, თუ მას ეშინია მისი რწმენის გაფუჭების. მორწმუნეს მხოლოდ ხანგრძლივი ცხოვრებით სურს სარგებლობა, სწორედ ეს თქვა ერთ-ერთმა სალაფმა: 'მორწმუნის ყოველი დღე მოგებაა'.

აბუ ჰურაირა გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: არავინ, თქვენს შორის სიკვდილი არ ისურვოს, და არ მოუხმოს, სანამ მისი დრო არ მოვა, რადგან, როცა რომელიმე თქვენგანი კვდება, ის წყვეტს კეთილ საქმეებს და მორწმუნის სიცოცხლეს სიკეთის გარდა არაფერი ახანგრძლივებს.²⁴

ასევე შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: არცერთმა თქვენგანმა არ ისურვოს სიკვდილი. ის (მორწმუნე) არის სიკეთის შემსრულებელი და შესაძლოა უფრო მეტი სიკეთეც გააკეთოს, ან თუ ცოდვილია, შესაძლოა მიატოვოს ცოდვის გზა.²⁵

²⁴ მუსლიმი 2682

²⁵ ნასაი 1818

თუმცა, თუ საცდურები გამრავლდება, რის გამოც ჭეშმარიტ მორწმუნეს აშინებს მისი რწმენის დაკარგვა, მაშინ მისთვის რეკომენდირებულია სიკვდილი ითხოვოს.

აბუ ჰურაირა გადმოსცემს: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა; უკანასკნელი საათი არ დადგება მანამ, სანამ კაცი არ გაივლის საფლავთან და არ იტყვის: 'ნეტავ მე ვიყო მის ადგილას' ²⁶

აბდულლაჰ იბნ მას'უდმა თქვა: 'ამ სამყაროს ძვირფასი ხალხი წავიდა და დარჩა მხოლოდ ცუდები. სიკვდილი დღეს არის ჯილდო ყველა მუსლიმანისთვის.' ²⁷

გადმოცემულია ანასისგან, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: არავინ არ ითხოვოს სიკვდილი იმ უბედურების გამო, რომელშიც ჩაფლულია, მაგრამ თუ სხვა გზა არ არის, მაშინ თქვით:

اللَّهُمَّ أَحْيِنِي مَا كَانَتْ الْحَيَاةُ خَيْرًا لِي وَتَوَفَّنِي إِذَا كَانَتْ الْوَفَاةُ خَيْرًا لِي

ღმერთო ჩემო. მაცოცხლე მანამ, სანამ სიცოცხლე ჩემთვის სასიკეთოა და მაწიე სიკვდილი, თუ სიკვდილი სიკეთეა ჩემთვის. ²⁸

თავი 9

ცოდვის შიში ნებისმიერი საქმის წინ და შემდეგ

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო მათი ღრმა შიში ალლაჰის მიმართ საქმის დასაწყისში და შემდეგ. საქმის დასაწყისში ეშინოდათ, რომ ქმედება შეიძლება ყოფილიყო ცოდვა, ხოლო საქმის ბოლოს ეშინოდათ რომ მიიღებდნენ შექებას. ²⁹ შესაბამისად, მათ ეშინოდათ ცუდ გზაზე და საქმეზე სიკვდილის. უზენაესი ალლაჰი ამბობს: 'და იმას, ვისაც შეეშინდება თავისი ღმერთის სამსჯავროსი, - ორი სამოთხე' ³⁰ და აგრეთვე მისი სიტყვა: 'ჩემი გეშინოდეთ თუკი მორწმუნენი ხართ.' ³¹

ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ვისაც (ალლაჰის სასჯელის) შიში აქვს, ის (სამოთხისკენ მიმავალ) გზას დაადგება. ვინც გზას დაადგება, ის საწადელს მიაღწევს. ყურადღებით იყავით, ალლაჰის

²⁶ ბუხარი 7115

²⁷ ეს თქვა როცა საჰაბეების უმრავლესობა გარდაცვლილი იყო.

²⁸ მუსლიმი 2680

²⁹ ეშინოდათ თავის გამოსაჩენი საქმის შესრულება და შეგრძნება.

³⁰ რაჰმან 55:46

³¹ ალი იმრან 3:175

შემოთავაზება საკმაოდ ძვირია, ყურადღებით იყავით, ალლაჰის შემოთავაზება სამოთხეა.³²

აბუ ტურაბ ან-ნახშაბი ამბობდა: 'თუ ადამიანი გადაწყვეტს ცოდვის მიტოვებას, ალლაჰი მას ყველა მხრიდან გაამყარებს.'

ჰასან ალ-ბასრი ამბობდა: 'ცოდვებში ჩაძირვის წინაპირობებია: დღისით მარხვის არ დაცვა და ღამით ლოცვის ნაკლებობა'.

ერთ-ერთმა სალაფმა თქვა: 'მორჩილების ბრწყინვალეობა სახეზე, სიყვარული გულში, ძალა სხეულზე და სულის უსაფრთხოება არის ცოდვების მიტოვებაში. და ცოდვები სახეზე წარმოშობს სიმახინჯეს (სიბნელეს), სიბნელეს გულში და სისუსტეს სხეულზე. როგორც მორჩილ მორწმუნეზე, ისე ურჩზე, ალლაჰი ტოვებს ნიშნებს, რათა ერთმა გაიხაროს, მეორე კი დამწუხრდეს.' უზენაესი ბრძანებს: 'რომელთაც თქვეს - ჩვენი ღმერთი ალლაჰიაო, მერე მტკიცედ დადგნენ, ზეგარდმოხდებიან მასზე ანგელოზები: ნუ გეშინიათ, ნუ დამწუხრდებით და გაიხარეთ სამოთხით, რომელიც აღთქმული გქონდათ.'³³

ერთმა მართალმა სალაფმა თქვა: 'ანგელოზები ამას მხოლოდ იმას ეუბნებიან, ვინც ალლაჰისადმი შიშს გრძნობს ხანგრძლივად და სევდას მისი ცოდვების ან იმის გამო, რასაც არ მოეკიდა ყურადღებით. ვისაც არ ეშინოდა ალლაჰის და არ წუხდა იმაზე, თუ რა დაკარგა, ამ სიტყვებს მათ არ ეუბნებიან სიკვდილის დროს'

თავი 10

სხვათა მიმართ უსამართლობის შიში

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო შიში მათი ღმერთის წინაშე, რათა არ დასჯილიყვნენ საკუთარი თავის და სხვათა მიმართ უსამართლო მოპყრობის გამო, თუნდაც ეს ზიანი ნემსის ჩხვლეტის ტოლფასი ყოფილიყო. ეს შიში განსაკუთრებით მაშინ იყო, როცა საკუთარი საქციელის გამო დაკარგავდა კარგ საქმეებს. მათ ეშინოდათ, რომ შეიძლება მათი კარგი საქმე იმის ანგარიშზე გადასულიყო ვისაც უსამართლოდ მოექცა. განკითხვის დღეს შესაძლოა ერთმა მეორეს მოთხოვოს ცილისწამებისთვის და ცრუ ბრალდების გამო.

აბუ ჰურაირა გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ვინც მოექცევა უსამართლოდ სხვა ადამიანს მისი

³² თირმიზი 2450

³³ ფუსილათ 41:30

რეპუტაციის ან სხვა რამის შესახებ, მან უნდა თხოვოს მას პატიება განკითხვის დღემდე, როდესაც არ იქნება ფული (ცუდი საქმის გამოსასყიდად). და თუ მას აქვს კარგი საქმეები, ის კეთილი საქმეები აიღება მისგან და დაეწერება მის მიერ ჩაგრულს, და თუ მას არ აქვს კეთილი საქმეები, დაჩაგრული ადამიანის ცოდვები მასზე იქნება დატვირთული.³⁴

აბუ ჰურაირა გადმოსცემს, ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: იცით ვინ არის ღარიბი? საჰაბებმა უთხრეს: ღარიბი კაცი ჩვენს შორის არის ის, ვისაც არ აქვს დირჰამი და არც სიმდიდრე. მან (შუამავალმა) თქვა: ჩემი უმადან ღარიბი არის ის, ვინც მოვა განკითხვის დღეს ლოცვებით, მარხვებით და ზექათით მაგრამ ის შეურაცხყოფდა, ცილსწამებდა და უკანონოდ ანადგურებდა სხვის სიმდიდრეს და ღვრიდა სისხლს და სხვებს ურტყამდა, ამიტომ, მისი კარგი საქმეები მათ ანგარიშზე გადავა, ვინც მის გამო დაიტანჯა. ხოლო თუ მისი კარგი საქმეები საკმარისი არ იქნება მისი ცოდვების გასაბათილებლად, მაშინ მის ანგარიშზე მხოლოდ ცოდვები დარჩება და მას ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩააგდებენ”.³⁵
გადმოცემულია, რომ ალლაჰის შუამავალზე მოევილინა აიათი:

(ალლაჰის მიერ აღთქმული სიკეთე დამოკიდებული) არ არის არც თქვენს ოცნებებზე და არც წიგნის ხალხის ოცნებებზე, ვინც ავს ჩაიდენს, მიეზღვება იგივე და არ ეყოლება არც შემწე და არც მეოხი ალლაჰის გარდა.³⁶

აბუ ბაქრმა თქვა: ‘ვფიცავარ ალლაჰს, ეს აიათი მოევილინა როგორც საშინელი დარტმა.’

თუ აბუ ბაქრმა, რომელიც სამოთხის ერთ-ერთ მკვიდრთაგანად გამოცხადდა, ასე თქვა, მაშინ რა უნდა თქვან მის გარდა სხვებმა?’ ო მორწმუნეებო! დაფიქრდით და იყავით ფხიზლად, რათა მოიპოვოთ ხსნა დიდი ღლის სასჯელისგან.

თავი 11

სინანული ავადმყოფობის დროს

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო ის, რომ ისინი ავადმყოფობის დროს შიშობდნენ, რომ ეს იყო მათი სიკვდილის დრო და მოკვდებოდნენ მონანიების გარეშე. და შიშობდნენ არ დაბრუნებულიყვნენ მათ ღმერთთან ცოდვილებად, როგორც მონა, რომელიც გაექცა თავის ბატონს, შემდეგ შეიპყრეს ყველა მხრიდან და დააბრუნეს თავის ბატონთან.

³⁴ ბუხარი 2449

³⁵ მუსლიმ 2581

³⁶ ნისა 4:123

მეგობრებმა მოინახულეს უტბა ალ-ლულამი, როცა სიკვდილის პირას იყო თავის საწოლში და ჰკითხეს მას: 'როგორ გრძნობ თავს? და მან წაიკითხა ლექსი:

‘მიწას ვშორდები,
განკითხვის დღეს ვუახლოვდები,
ჩემი დამკრძალავები იქნება ცოტა,
ჩემი ოჯახი ჩქარობს ჩემს დაკრძალვას, როცა,
ჩემთვის უმჯობესია იმქვეყნად წასვლა,
და მისკენ სწრაფვა.
ჩემი სახე კი აღარ იცინის.
თქვენ გითენდებათ თქვენს საწოლებში,
საფლავში ჩავალ და იქ რა მელის, ვინ იცის.’

როდესაც იბრაჰიმ ან-ნახაის სიკვდილი მიუახლოვდა, ის ატირდა და როდესაც მიზეზი ჰკითხეს, მან უპასუხა: 'მე ველოდები მაცნეს, რომელიც მოვა ჩემი ღმერთისგან და მამცნობს სამოთხეში მოხვედრას ან ჯოჯოხეთში.'

ძვირფასო ძმაო, დაფიქრდი შენს სულზე და იცოდე, რომ შენ მუდამ სიკვდილის პირას ხარ, რადგან შენი მომავალი შენს ხელში არ არის. მოუხშირეთ პატიების თხოვნას ღამით და დღის ბოლოს... ალლაჰია ჩვენი მფარველი და მხოლოდ ის გვიჩვენებს სწორ გზას.

თავი 12

დაკრძალვის დროს სიკვდილის გახსენება

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო სიკვდილის ხშირად გახსენება და ტირილი სიკვდილის გახსენების დროს და ცუდი დასასრულის შიშის გამო. სიკვდილის ხსოვნა მათ გულს არბილებდა. როდესაც აბუ ჰურაირა ხედავდა დაკრძალვას, ასე ამბობდა: 'მიდიხარ შენს ღმერთთან და შემდეგ ჩვენც წავალთ'.

ალ-ა'მაში (ალლაჰმა შეიწყალოს) ამბობდა: 'ჩვენ ვესწრებოდით ჯანაზას და არ ვიცოდით, ვინ უნდა ვანუგეშოთ, რადგან სევდამ სძლია მთელ ხალხს.'

საბითი (ალლაჰმა შეიწყალოს) ამბობდა: 'ჩვენ ვესწრებოდით დაკრძალვას და ყველას, ვისაც ვხედავდით სახეზე შემოხვეული ჰქონდათ ტანსაცმელი და ტიროდნენ, ეს იმიტომ, რომ ისინი ფიქრობდნენ საკუთარ დაკრძალვაზე.'

ისინი ტიროდნენ არამხოლოდ გარდაცვლილზე, არამედ ტიროდნენ საკუთარ თავზეც.

უთხარი: სიკვდილი, რომელსაც გაურბიხართ, მოგეწევთ, მერე დაბრუნებულ იქნებით დაფარულისა და ხილულის მცოდნესთან. და იგი გაცნობებთ იმას, რასაც აკეთებდით!³⁷

სიკვდილი იქნება ჩვენი, ყველას გამტეხი, საფლავი სამყოფელი, მუნქარი და ნაქირი დამკითხველები, გარდაცვლილი გახდება ჭიების სარჩო, გვექნება აღდგომის უმძიმესი დღე, და შემდეგ იქნება სამოთხე ან ჯოჯობეთი. ჭკვიანი ემზადება მისთვის და ფიქრობს ისე, როგორც წინამორბედები (სალაფები) ფიქრობდნენ. იტირეთ ხშირად რადგან თქვენს თვალწინ არის დაკრძალვის სცენები, რომლებიც გაძლევთ შეგონებას. ჩვენ კი ვთხოვთ ალლაჰს დაგვიცვას მიწიერ ცხოვრებაშიც და საიქიოშიც როგორც დაგვპირდა: **განამტკიცებს ალლაჰი იმათ, ვინც ირწმუნა, მტკიცე სიტყვით ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც. და უბნევს გზას ალლაჰი უსამართლოებს. და იქმს ალლაჰი იმას, რასაც ინებებს.**³⁸

თავი 13

პატიება და მოყენებული ზიანის უგულებელყოფა

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო ის, რომ ისინი პატიობდნენ და უგულებელყოფდნენ სხვის მიერ მიყენებულ ზიანს, ანუ დარტყმას, გამარჯვას ან ღირსების შელახვას ა.შ როგორც ყურანშია ნათქვამი:

აპატიე მათ და მოითმინე“. ალლაჰს უყვარს ის, ვინც კეთილია!..³⁹

რომლებიც გასცემენ ჭირშიც და ლხინშიც, იოკებენ მრისხანებას, პატიობენ ხალხს. და ალლაჰს უყვარს კეთილისმქმნელნი!⁴⁰

სალაფებმა მიიღეს ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) მაგალითი და არასოდეს ბრაზდებოდნენ საკუთარი თავის გამო, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ალლაჰის საზღვრები დაირღვეოდა.

ვინც აითვისებს ამ კარგ თვისებებს, ის უფრო ახლოსაა ყოვლადმოწყალესთან, როგორც გადმოცემულია ორ სანდოდ⁴¹ დადასტურებულ კრებულში: აბუ ჰურაირა გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ერთი კაცი ხალხს სესხს აძლევდა, და შემდეგ ეუბნებოდა მის მონას:

³⁷ ჯუმა 62:8

³⁸ იბრაჰიმ 14:27

³⁹ მაიდე 5:13

⁴⁰ ალი იმრან 3:134

⁴¹ ბუხარი და მუსლიმი

თუკი მევალე გაჭირვებულია, მაშინ აპატიე მას, და ალლაჰი გვაპატიებს. და როცა (მევალე) შეხვდება ალლაჰს, ალლაჰი მას აპატიებს.⁴²

ჯა'ფარ იბნ მუჰამმადი ამბობდა: ჩემთვის, შეწყალების შემდეგ სინანული უფრო სასიამოვნოა, ვიდრე დასჯის შემდეგ სინანული.'

ყათადას ჰკითხეს: რომელ ადამიანს აქვს ყველაზე მაღალი ადგილი? მან უპასუხა: 'ყველაზე გულუბნებს თავის შეწყალებაში'

გადმოცემულია ერთ სალაფზე დაყრდნობით, რომ მისმა მსახურმა ის საშინლად გააბრაზა და გადაწყვიტა შურისძიება, რაზეც მონამ უთხრა: 'რომლებიც იოკებენ მრისხანებას'. მან უპასუხა: 'მე დავიოკე ჩემი ბრაზი'. და მონამ გააგრძელა: 'და პატიობენ ხალხს' და მან უთხრა: მე გაპატიე შენ. შემდეგ მსახურმა თქვა: 'ალლაჰს უყვარს კეთილისმქმნელები!. რაზეც კაცმა უთხრა: წადი! მე ალლაჰის კმაყოფილებისათვის გაგანთავისუფლე.

თავი 14

მუსლიმების შესახებ კარგის გავრცელება

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო მათ მიერ მუსლიმების სიწმინდის (სისუფთავის) გაზრდა-გავრცელება და მათი სიყვარული ალლაჰის რელიგიის შესაბამისად. ალლაჰის სიტყვა: **ამგვარად. ვინც განადიდებს ალლაჰის ნიშებს (რიტუალებს), ეს გულთა ღვთისმოშიშებისგანაა.**⁴³

ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: 'უეჭველად თქვენი სისხლი, ქონება და ღირსება ისევე წმინდაა (ე.ი ხელუხლებელი) ერთმანეთისთვის, როგორც ამ დღის სიწმინდეა ამ თვეში და ამ ქალაქში. გადაეცით ეს იმათ, ვინც აქ არ არიან, ვინაიდან მათ შეიძლება უკეთ გაიგონ ვიდრე იმათმა, ვინც აქ არიან.'⁴⁴

აბუ ბაქრი (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) ამბობდა: 'ვინც მფარველობს მუსლიმს, მან იცოდეს, რომ პატარა მუსლიმი ალლაჰისთვის დიდია.'

აბდულლაჰ იბნ აბბასი: 'საუკეთესო საქმე არის კეთილშობილება იმის მიმართ, ვისთანაც ზის'

როდესაც შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ქაბას უყურებდა, ასე ამბობდა: 'ჭემმარიტად, ალლაჰმა წმინდადგყო, კეთილშობილად გაქცია და პატივი მოგაგეს, მაგრამ მორწმუნე უფრო წმინდაა უზენაესი ალლაჰისთვის.'

⁴² ბუხარი 3480

⁴³ ჰაჯი 22:32

⁴⁴ ბუხარი 67

იქრიმმა ამბობდა: 'მოერიდეთ სწავლულებზე ზიანის მიყენებას, რადგან ვინც ამას აკეთებს, მან მიაყენა ზიანი ალლაჰის შუამავალს'

ჩვენ ვიცით, რომ საფრთხილოა მუსლიმებზე ზიანის მიყენება, მაშინ რა უნდა ვთქვათ სწავლულების და მართალი ხალხის რეპუტაციაზე? თუ დააკნინებთ მათ, ამით თქვენ გახდებით სხვისი ღირსების შემლახველი ბოროტმოქმედი ხალხი.

თავი 15

მოთმინება როცა ცოლი გაგალიზიანებს.

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო მოთმინება, როდესაც ცოლები გაალიზიანებდნენ. ისინი ხვდებოდნენ, რომ ყოველი ცუდი რაც მათი ცოლებისგან მოდიოდა, მათი ღმერთის წინაშე მათი ცოდვების შედეგი იყო. როდესაც რომელიმე ეურჩებოდა თავისი ღმერთის ბრძანებას, ცოლიც ეურჩებოდა მის ბრძანებას. ერთ-ერთმა სალაფმა თქვა: 'როდესაც ვეურჩებოდი ალლაჰს, ამის შედეგს ჩემს ცოლში და შინაურ ცხოველშიც ვხედავდი'.

აბუ ჰურაირა გადმოსცემს: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: 'კაცი რომელიც დაესწრება ლოცვებს მესჯიდში და ახსენებს ალლაჰს, მას ალლაჰი აღვსებს ბედნიერებით, და ასევე მის არ ყოფნაშიც მისი ოჯახი იგრძნობს თავს ბედნიერად, და მაშინაც როდესაც მათთან დაბრუნდება.'⁴⁵

ალი იბნ აბი ტალიბმა თქვა: 'ადამიანს ავსებს ხუთი რამე: 'დამჯერი ცოლი, ერთგული შვილები, ღვთისმოსავი ძმები; მართალი მეზობლები და მისი მორჩილება ღმერთის მიმართ'

ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: 'ყველაზე სრულყოფილი რწმენა იმას აქვს, ვისაც, თქვენს შორის, საუკეთესო ზნეობა აქვს. და თქვენს შორის საუკეთესო ის არის, ვინც საუკეთესოა თავისი ცოლის მიმართ.'⁴⁶

აჰმად იბნ ჰარბი ამბობდა: 'თუ ქალში ექვსი თვისებაა თავმოყრილი, მაშინ მისი ზნეობა სრულყოფილია; ხუთი დროის ლოცვის დაცვა, ქმარზე მორჩილება, ღმერთის კმაყოფილებისთვის სწრაფვა, ენის დაცვა ჭორიკნობისგან, მიწიერი სიკეთეების მიტოვება და მოთმინება უბედურების დროს'.

⁴⁵ იბნ მაჯა 800

⁴⁶ თირმიზი 1162

სალაფების ზნეობისა და ეთიკის ნაწილი იყო მათი ცოლების და შვილების მიმართ გაუმჯობესება მოთმინების კუთხით, როგორც უზენაესმა თქვა: **და უბრძანე შენს ოჯახს ლოცვა და იყავი მომთმენი მასზე...**⁴⁷

ისინი ასრულებდნენ იმას, რასაც ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ურჩევდა თავის ხალხს: 'გეშინოდეთ ალლაჰის ქალებთან მიმართებაში, რადგან თქვენ ისინი მიიღეთ როგორც თქვენი ცოლები, მხოლოდ ალლაჰის ნდობითა და მისი ნებართვით და ისინი თქვენთვის ნებადართულნი გახდნენ'

თავი 16

ლიდერობისკენ სწრაფვის მიტოვება

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო ის, რომ ისინი არ ცდილობდნენ ლიდერობას, რათა მათთვის არ მიენიჭებინათ უპირატესობა სხვა ადამიანების სამართავად.

აბუ ზარი გადმოსცემს, რომ მან უთხრა შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას): ხომ არ დამნიშნავდი მე ამ თანამდებობაზე (ამირობა)? შუამავალმა მას ბეჭებზე ხელი დაარტყა და უთხრა: 'ო აბუ ზაარ, შენ ჯერ უძლური ხარ, ეს კი პასუხისმგებლობაა, განკითხვის დღეს, ის მოგიტანს დამცირებას და სინანულს, გარდა იმისა, ვინც მიიღებს ამ თანამდებობას კანონით და შეასრულებს ყველა ვალდებულებას.'⁴⁸

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: 'ო აბდურრაჰმან! არ ითხოვოთ რომ იყოთ მმართველი (ე.ი ლიდერი), რადგან თუ მოგეცემათ უფლებამოსილება თქვენს მოთხოვნაზე, თქვენ იქნებით პასუხისმგებლები, მაგრამ თუ მოგეცემათ ისე, რომ არ გითხოვიათ, მაშინ ამაში ალლაჰი დაგეხმარებათ.'⁴⁹

სხვა ჰადისში ნათქვამია: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: 'თუ თქვენ გექნებათ სურვილი გქონდეთ მმართველობის უფლება, ეს განკითხვის დღეს იქნება დამცირება.'⁵⁰

სუფიან ას-საურიმ თქვა: 'ვინც ცდილობს ლიდერობას, ის სანამ მიანიჭებენ ამ უფლებას - დაკარგავს ბევრ სიკეთეს'

⁴⁷ ტაკვა 20:132

⁴⁸ მუსლიმი 1825

⁴⁹ ბუხარი 7146

⁵⁰ ბუხარი 7148

მუსლიმ იბნ ყუთაიბი: 'მე შევხვდი ადამიანებს, რომლებიც ლიდერობას უდიდეს ფიტნად - საცდურად მიიჩნევდნენ. მაგრამ დღეს ხალხი მას ეძებს.'

სალაფების ზნეობიდან იყო, რომ როდესაც მათი მეგობარი გახდებოდა ლიდერი ასე ევედრებოდნენ ღმერთს: 'ო ღმერთო! აიძულე დაგვივიწყოს. და არ გვიცნოს ჩვენ და არც ჩვენ ვიცნობდეთ მას;

თავი 17

ერთმანეთზე რჩევების მიცემა

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო, რომ ერთმანეთს რჩევებს აძლევდნენ; უფროსს არ ეწყინებოდა თუ ახალგაზრდა ურჩევდა. დღეს კი საპირისპიროდ ხდება. ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: 'რელიგია არის გულწრფელობა. (ე.ი გულწრფელი რჩევა). ალლაჰის შუამავალო, ვის მიმართ? - ჰკითხა ხალხმა. მან უპასუხა: ალლაჰის, მისი წიგნის, მისი შუამავლის, მმართველების, ყველა მორწმუნის, და მუსლიმთა ლიდერების მიმართ.'⁵¹

როდესაც სალაფები რჩევებს იღებდნენ მრჩეველს მადლობას უხდიდნენ; ისინი არ თვლიდნენ, რომ მრჩეველს სრულიად გადაუხადა მადლობა, თუნდაც მთელი ცხოვრება კეთილგანწყობილი ყოფილიყო მის მიმართ.

ერთმა ადამიანმა ჰასან ალ-ბასრის უთხრა: მირჩიეთ. მან უპასუხა: 'ამაღლე ალლაჰის ბრძანებები სადაც არ უნდა იყო და ალლაჰი აგამაღლებს სადაც არ უნდა იყო.'

ისინი წერილებსაც სწერდნენ ერთმანეთს, თუნდაც მათი საცხოვრებელი მიწები ერთმანეთისგან შორს ყოფილიყო. რჩევის მიმღები მრჩეველს მადლობას უხდიდა, თუმცა დღეს ყველაფერი საპირისპიროდ ხდება; დღეს ვისაც ურჩევთ, იშვიათად მიიღებთ მადლობას, არამედ შეურაცხყოფას მიიღებთ.

თავუსმა მაქჰულს მისწერა: 'სალამი - ჩემო ძმაო! თავს გაუფრთხილდით, შეიძლება ფიქრობდეთ, რომ მაღალი ადგილი გიჭირავთ ალლაჰის წინაშე თქვენი საქმეების გამო; ვინც ასე ფიქრობს საკუთარ თავზე, ხელცარიელი მიდის შემდგომ ცხოვრებაში.'

ძმაო! გახსოვდეთ ეს რჩევები, ურჩიეთ საკუთარ თავებს და შემდეგ მუსლიმ ძმებს, ზეპირად თუ წერილობით, მაგრამ ფრთხილად იყავით, არ გაუნაწყენდეთ იმას, ვინც გირჩევთ.

⁵¹ აბუ დავუდი 4944

თავი 18

კარგი საქციელი ყველას მიმართ

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო კარგად მოქცევა ახალგაზრდების, არა ნათესავეების და უმეცრების მიმართ, რომ აღარაფერი ვთქვათ უფროსების, ნათესავეებისა და მცოდნეების მიმართ. ალლაჰმა უბრძანა მუსას: **'და უთხარით მას რბილი სიტყვა, რათა ეგების შეიგნოს ან შეშინდეს.'**⁵² . სალაფები შეთანხმდნენ იმ აზრზე, რომ მაღალი წოდება დამოკიდებულია კარგ ზნეობაზე და მანერებზე. მათი ზნეობის პრინციპებს შორის იყო საკუთარი ნაკლის დანახვა, ხოლო სისწორის დანახვა სხვებში. როდესაც ვინმე საკუთარ თავს ხედავს როგორც სრულყოფილს და სხვას ნაკლოვანს, ეს დამოკიდებულება მასში იწვევს ამპარტავნებას. ჩვენ კი ვთხოვთ ღმერთს დაგვიფაროს ამისაგან. ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: მე წარმოვიგზავნე, რათა გამოგისწოროთ ზნეობა'⁵³

ალი იბნ აბი თალიბმა ამბობდა: 'ადამიანები, რომლებიც ყველაზე მეტად იცნობენ ალლაჰს, ისინი არიან, ვინც ყველაზე მეტ პატივს სცემს ლა ილაჰა ილლა ლლაჰ-ის⁵⁴ ხალხს.'

ბაქრ იბნ აბდულლაჰ ალ-მუზანმა თქვა: 'როდესაც დაინახავ შენზე უფროსს თქვი: მან გამასწრო მე რწმენით და მართალი საქმეებით და ის ჩემზე უკეთესია, და როდესაც დაინახავ შენზე უმცროსს თქვი: მე გავუსწარი მას ცოდვებით და ის ჩემზე უკეთესია. და როდესაც დაინახავ შენს ძმებს, რომ პატივს გცემენ, თქვი: ეს არის სიკეთე, რომელიც მათ გამოიჩინეს, და როდესაც დაინახავ, რომ პატივისცემა შემცირდა, თქვი: ეს იმიტომ მოხდა, რომ მე ცოდვა ჩავიდინე.'⁵⁵

თავი 19

ალლაჰის შიში

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო მათი ღრმა შიში უზენაესი ალლაჰის მიმართ, ეშინოდათ რომ მათ ცხოვრებას ცუდი დასასრული ექნებოდა. ისინი ისე ხედავდნენ მათ თავებს, რომ თითქოს ცეცხლში აგდებდნენ. ფიქრებში და მწუხარებაში ისე იყვნენ ჩაფლულნი, რომ გარშემომყოფებს ვერ ამჩნევდნენ.

⁵² ტაკვა 20:44

⁵³ მუსნად აჰმად 8952

⁵⁴ ე.ი თავჰიდის ხალხს.

⁵⁵ სიფათუ ას-საფვა 505

ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: შესრულებული საქმის შედეგები, დამოკიდებულია ბოლო ქმედებებზე.⁵⁶

მან ასევე თქვა: 'ადამიანმა შეიძლება გააკეთოს საქმეები, რომლებიც დამახასიათებელია ჯოჯოხეთის ხალხისთვის, მასსა და ცეცხლს შორს დაშორება ერთი წყრთაა, შემდეგ კი რაც დაწერილია; (ინანიებს და) იწყებს სამოთხისათვის დამახასიათებელ საქმეებს და შედის სამოთხეში. ადამიანმა შეიძლება გააკეთოს ისეთი საქმეები, რომელიც დამახასიათებელია სამოთხის ბინადართათვის, და მასსა და სამოთხეს შორის დაშორებაა ერთი წყრთა, შემდეგ კი იწყებს იმ საქმეების შესრულებას რაც დაწერილია და შედის ჯოჯოხეთში.'⁵⁷

დღეს კი ამათზე ფიქრი და ზრუნვა ხალხის გონებიდან გამოსულია. აიშამაც (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) კი თქვა: 'ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში აკეთებს სამოთხის ხალხისთვის დამახასიათებელ ქმედებებს, მაგრამ სინამდვილეში ის ჯოჯოხეთის ხალხიდან არის'

რამდენი მშრომელი და დაღლილი სახე ჩავარდა ცეცხლში, რამდენი ადამიანის ნავი უახლოვდება უსაფრთხო სანაპიროს, მაგრამ როდესაც ნავსაყუდელზე გაჩერდება, ტალღა მოდის და ახრჩობს მას. ყველა თაყვანისმცემელი ამ რისკის ქვეშ იმყოფება.

ანასი გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

يَا مُقَلِّبَ الْقُلُوبِ ثَبِّتْ قَلْبِي عَلَىٰ دِينِكَ

ჰეი გულების გადამბრუნებელო, განამტკიცე ჩემი გული შენს რელიგიაში.
(ია მუყალლიბალ ყულუუბი, საბბით ყალბი 'ალა დიინიქ)

მე ვუთხარი: ალლაჰის შუამავალო, ჩვენ ვირწმუნეთ შენი და ის, რაც შენზე მოევლინა. შენ გეშინია ჩვენს გამო? შუამავალმა მითხრა: 'გულები ალლაჰის თითებს შორისაა. ის აბრუნებს მას ისე, როგორც მას ნებავს.'⁵⁸

მუტარრიფ იბნ აბდულლაჰი ასე ამბობდა: 'მე არ მიკვირს იმის, ვინც განადგურდა, ან როგორ განადგურდა, მე გაცელებული ვარ იმით, ვინც გადარჩა

⁵⁶ ბუხარი 6493

⁵⁷ ბუხარი 3332

⁵⁸ თირმიზი 2140

და როგორ გადარჩა. და ალლაჰს არასოდეს მიუცია არავისთვის ისეთი საჩუქარი როგორც ისლამია.’

თავი 20

ღამით ლოცვის შესრულება (თაჰაჯუდი)

სალაფების ზნეობიდან იყო ღამით მუდმივი ლოცვა ზამთარში თუ ზაფხულში. ისინი მიჰყვებოდნენ ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) რჩევას: 'შეასრულეთ ღამის ლოცვა, რადგან ეს იყო თქვენამდე არსებული მართალი ხალხის ჩვევა, და ეს არის რაც გაახლოვებთ თქვენს ღმერთთან. ის წმენდს ცოდვებს, აკავებს ადამიანს ცოდვებისაგან და სხეულიდან დაავადებებს განდევნის.'⁵⁹

აბდულლაჰ იბნ მას'უდი ღამის ლოცვაზე დგებოდა როცა ყველა დაიძინებდა და მისგან ბზუილივით ხმა გათენაბამდე ისმოდა.

აბდულ აზიზ იბნ აბუ დავუდი (ალლაჰმა შეიწყალოს) გაშლიდა თავის საწოლს მისი ხელით და ამბობდა: 'რა რბილი (ნაზი) ხარ შენ, მაგრამ სამოთხის საწოლი შენზე უფრო რბილია' და შემდეგ ლოცვაზე იდგა ფაჯრის (დილის) დადგომამდე.

ალ მუღირა გადმოსცემს: შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) იდგა (ლოცვაზე) და ლოცულობდა მანამ, სანამ ფეხები არ დაუსივდებოდა. მას ჰკითხეს თუ რატომ ლოცულობდა ამდენს. - განა არ უნდა ვიყო მადლიერი მსახური? - უთხრა მან.⁶⁰

ჰასან ალ-ბასრიმ თქვა: 'ვინც დატოვა ღამის ლოცვა, ეს უწინ ჩადენილი ცოდვის გამოა. ღამის ლოცვა მხოლოდ მისთვის არის მძიმე, ვისაც ცოდვები ამძიმებს.' მან ასევე თქვა: 'ადამიანი სჩადის ცოდვას, რომელიც მას აკავებს ღამის ლოცვისგან' და მან აგრეთვე თქვა: 'თუ არ შეგიძლია დღისით მარხვა და ღამით ლოცვა, მაშინ იცოდე, რომ აკრძალული გაქვს ცოდვები, რომლებმაც შეგიპყრეს.'

აბდულლაჰ იბნ მუბარაჰმა (იბნ ჯარირი) გადმოსცა აზ-ზუჰდში მასრუყის ცოლზე დაყრდნობით, რომ მან თქვა: 'მასრუყს არასოდეს უცხოვრია ისე, რომ მისი ქვედა კიდურები არ შეშუპებულიყო ხანგრძლივი ლოცვების გამო. მე ვჯდებოდი მის უკან და ვტიროდი მისი სიცოცხლის გამო.'

⁵⁹ ირვა ალ-დალილ 452

⁶⁰ ბუხარი 1130

თავი 21 მორწმუნეების ზნეობის აღზრდისთვის ზრუნვა

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო, რომ ისინი ეძებდნენ ისეთს, ვისშიც ჩათესავდნენ მორწმუნისთვის დამახასიათებელ თვისებებს და განდევნიდნენ მისგან თვალთმაქცობას. მორწმუნის მახასიათებლების შეჯამება მოხსენიებულია უზენაესი ალლაჰის დიდებულ წიგნში, რომელშიც ნათქვამია:

ახარე მორწმუნეებს, რომლებიც ინანიებენ, თაყვანს სცემენ, ადიდებენ, მარხულობენ, „ქედს იხრიან, სეჯდეს აღასრულებენ“, სიკეთეს მოუწოდებენ და ავს კრძალავენ; და ალლაჰის საზღვრების დამცველებს.⁶¹ და ასევე მისი სიტყვები:

ნეტარ არიან მორწმუნენი! ისინი, ვინც თავიანთი ლოცვისას მოკრძალებულნი არიან. ისინი, რომლებიც თავს არიდებენ ფუჰსიტყვაობას. ისინი, რომელნიც ზექათს იხდიან. და ისინი, ვინც ინახავს თავიანთ ნამუსს. გამოკლებით მეუღლეთა ან რაც მათ მარჯვენას მოუპოვებია. ჭეშმარიტად, ისინი ამისათვის არ გაიკიცხებიან. ხოლო ვინც ამაზე მეტს მოინდომებს, მაშინ ისინი არიან თავგასულნი. და ისინი, რომელნიც იცავენ ანაზარსა და აღთქმას. და ისინი, რომელნიც იცავენ თავიანთ ლოცვებს. სწორედ ისინი არიან მემკვიდრენი, რომელნიც დაიმკვიდრებენ ფირდავსს (უმაღლეს სამოთხეს) და იქნებიან იქ მარადიულად.⁶²

და შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) სიტყვა: ვერცერთი თქვენგანი ვერ ირწმუნებს მანამ, სანამ სხვასაც იგივეს არ უსურვებს, რაც თავისთვის სურს.⁶³

და ასევე შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) სიტყვა: ვფიცავარ ალლაჰს, ის არ არის მორწმუნე, ვფიცავარ ალლაჰს, ის არ არის მორწმუნე, ვფიცავარ ალლაჰს, ის არ არის მორწმუნე. ვინ ალლაჰის შუამავალო? - ჰკითხეს მას. - ის, ვისი მეზობელიც მისგან თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს. - უთხრა მან.⁶⁴

იაჰია იბნ მუაზამმა თავის ერთ-ერთ ნაშრომში მორწმუნეს მახასიათებლები შემდეგნაირად გადმოსცა: 'ის არის მოკრძალებული და უვნებელი. ის

⁶¹ თავბა 9:112

⁶² მუმინუნ 23:1-11

⁶³ ბუხარი 13

⁶⁴ ბუხარი 6016

სიკეთით სავსეა და გახრწნილი არ არის. სიტყვები და საქმეები აქვს მართალი, ცოტას ლაპარაკობს და ბევრ სიკეთეს აკეთებს. ნათესავების მიმართ ახასიათებს სიკეთე და მათ შორის სიახლოვეს ამყარებს. არის ღირსეული და მადლიერი, კმაყოფილია როდესაც ალლაჰი სარჩოს შეუმცირებს. მომთმენი, მეგობრული, სარწმუნო და თანამგრძობია ძმების მიმართ. არ იწყევლება, არ ილანძღვება, არ შეურაცხყოფს და არ ჭორიკნობს. არ არის აჩქარებული, შურიანი, საძულველი, ამპარტავანი და მოლაყბე. მორწმუნე არ უნდა იხრებოდეს მიწიერი სიკეთეებისკენ. მორწმუნეს არ სძინავს ბევრს, არ არის უაზრო და თვალთმაქცი. არ არის ეგოისტი, არამედ არის რბილი და მხიარული. მორწმუნეს აქვს ძვირფასი თვისება; ალლაჰის კმაყოფილებისთვის მოქმედება, მისი კმაყოფილებისთვის გახარება და გაბრაზება. მისი სარჩო არის თაყვა (თაყვანისცემა/შიში). მისი საზრუნავი არის ის, თუ რა მოელის მას შემდგომ ცხოვრებაში. მეგობრები მას იხსენებენ. მისი საყვარელი არის მისი ღმერთი, მისი მფარველი. მისი სწრაფვა და შრომა არის საიქიოსთვის.’ (ციტატის დასასრული)

ფუდაილ იბნ ‘იადმა თქვა: ‘მორწმუნე რგავს პალმის ხეს და ეშინია, რომ ეკლები გაიზრდება, თვალთმაქცები კი ეკლებს რგავენ და მწიფე ფინიკის გაზრდას ელიან.’

ო ძმაო! გააცნობიერე ეს ყველაფერი და ყურადღებით იყავი შენს თავში სიკვდილამდე. იტირე შენს სულზე, თუ შენში აღმოაჩენ თვალთმაქცურ ჩვეულებებს, მაშინ ხშირად ითხოვე პატიება. და ყველა ქება-დიდება ალლაჰს ეკუთვნის.

თავი 22

უპირატესობის მინიჭება საიქიოზე

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო, რომ ისინი არათუ მიწიერს, არამედ საქმეებში უპირატესობას ანიჭებდნენ საიქიოსთვის შრომას. სალაფები ფაჯრის ლოცვის შემდეგ დიდ უპირატესობას ანიჭებდნენ ზიქრს, ვიდრე მიწიერ სხვადასხვა საქმეებს. ისინი დიდ უპირატესობას ანიჭებდნენ თაჰაჯუდს ცივ ღამეში, ვიდრე თბილი საბნის ქვეშ ყოფნას. ასეთი იყო სალაფების საქმე და ზნეობა. ალლაჰის სიტყვები: **იმას, ვინც წარმავალ სიცოცხლეს ისურვებს, დაუჩქარებთ მას იქ, რასაც ვინებებთ და ვისთვისაც ვინებებთ. მერე კი დავუდგინეთ მას ჯოჯოხეთი და დაიხრუკება იქ გაკიცხული, დამცირებული.**

ხოლო იმან, ვინც ისურვა საიქიო, იღვაწა მისთვის და მორწმუნე იყო, დაფასებულ იქნება მათი ღვაწლი.⁶⁵

ანას ბინ მალიქი გადმოსცემს: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ვისი მიზანიც იქნება საიქიო, ალლაჰი გაამდიდრებს მის გულს და გამოუსწორებს მიწიერ საქმეებს, და მიწიერი სარგებელი მივა მასთან, უნდა მას თუ არა. და ვისი მიზანიც იქნება მიწიერი ცხოვრება, ალლაჰი სიღარიბეს დაუყენებს თვალწინ და აურევს მიწიერ საქმეებს და მასთან მხოლოდ ის მივა, რაც იყო მისთვის დაწერილი (განსაზღვრული).⁶⁶

მალიქ იბნ დინარმა თქვა: 'ვინც მიწიერ ცხოვრებაზე იქორწინებს (გადატანითი მნიშვნელობა), ეს სამყარო მანამ არ იქნება მისგან კმაყოფილი, სანამ არ დათმობს მის მთელ რელიგიას, როგორც მზითვს.'

ალი (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) ამბობდა: უეჭველად, მიწიერი ცხოვრება წარმავალია, ხოლო მომდევნო (ცხოვრება) კი ახლოვდება და თითოეულს ჰყავს თავისი შვილი. ასე რომ იყავით ბავშვები მომდევნო ცხოვრების, არათუ ბავშვები ამ სამყაროსი. დღეს არის საქმეები და არ არის ანგარიშსწორება, თუმცა ხვალ იქნება ანგარიშსწორება და აღარ იქნება საქმეები.⁶⁷

თავი 23

ალლაჰის გახსენება და შუამავლის დალოცვა

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო ის, რომ ისინი არ უგულბებულყოფდნენ უზენაესი ალლაჰის ხსენებას ან შუამავალზე სალამსა და დალოცვას მათ შეკრებებზე. ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

...ალლაჰის ხსენება კი უფრო დიდია და ალლაჰმა იცის, რასაც აკეთებთ⁶⁸ და ასევე მისი სიტყვა: **და განა მხოლოდ ალლაჰის ხსენებით არ მშვიდდებიან გულები?**⁶⁹

აბუ მუსა გადმოსცემს: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: მათი მაგალითი, ვინც ახსენებს მის ღმერთს და ის, ვინც არ ახსენებს, ცოცხალისა და მკვდარის მსგავსია.⁷⁰

⁶⁵ ისრა 17:18-19

⁶⁶ თირმიზი 2465

⁶⁷ ჰილიათ ალ-ავლია 1:40

⁶⁸ ანკებუთ 29:45

⁶⁹ რა'დ 13:28

⁷⁰ ბუხარი 6407

აბუ ჰურაირა გადმოსცემს, რომ შუამავალმა (აღლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ხალხი რომელიც თავს მოიყრის შეკრებაზე და არ ახსენებენ ღმერთს, იქნებიან ისე,, თითქოს წამოდგნენ ვირის ცხედარიდან, და ეს იქნება მათთვის მწუხარების მიზეზი. ⁷¹

ჰასან ალ-ბასრიმ წერდა: ‘უზენაესმა აღლაჰმა გაგვიადვილა და თქვა: **გამიხსენეთ და გაგიხსენებთ,** ⁷² მან გაგვიმარტოვა იმით, რომ მის სახსენებლად კონკრეტულ ადგილზე მისვლა საჭირო არ არის, როგორცაა პილიგრიმოზა, ასე რომ ქება-დიდება სამყაროთა ღმერთს.’

ფუდაილ იბნ ‘იადმა თქვა: ‘თუ იხსენებთ ქმნილებებს, (ე.ი თუ ჭორიკნობთ) მაშინ უმჯობესია გაიხსენოთ უზენაესი ღმერთი. მისი გახსენება წამალია. ‘

აბუ მულაიჰა აღლაჰის გახსენების დროს სიხარულს და ბედნიერებას გრძნობდა. იგი ასე ამბობდა: ‘ჩემი სიხარული არის ჩემი ღმერთის გახსენება, ვინაიდან ჩემმა ღმერთმა თქვა: ‘გამიხსენეთ და გაგიხსენებთ.’ თუ ის უმიზნოდ მიაბიჯებდა გზაზე, დაიწყებდა აღლაჰის განდიდებას და გახსენებას თუნდაც მცირე ხნით. შემდეგ ის ამბობდა: ‘მე მიყვარს ყველა ის ადგილი სადაც გავივლი და აღლაჰს ვახსენებ, რადგან ისინი, განკითხვის დღეს მოწმეები იქნებიან.’

იაჰია იბნ მუაჰმა (აღლაჰმა შეიწყალოს) თქვა: ‘განაახლეთ თქვენი გულები აღლაჰის ხსენებით, რადგან ის მიისწრაფვის დავიწყებისკენ’.

თავი 24

ნაზი გულების ქონა

სალაფების ზნეობიდან იყო ის, რომ მათ ჰქონდათ ნაზი გულები და ბევრს ტიროდნენ უზენაესი აღლაჰის მიმართ მათი მოვალეობის ნაკლებად შესრულების გამო.

აღლაჰის შუამავალმა (აღლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: თქვენ რომ იცოდეთ ის, რაც მე ვიცი, ცოტას იცინებდით და ბევრს იტირებდით. ⁷³

ალიმ (აღლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) თქვა: ‘მე დავინახე აღლაჰის შუამავლის საკაბეები, და ახლა მათ მსგავსს ვერავის ვხედავ. ისინი დილით

⁷¹ აბუ დავუდ 4855

⁷² ბაყარა 2:152

⁷³ ბუხარი 6485

მტვრიანი, ფერმკრთალი და თმა აჩეჩილი დგებოდნენ. მათ ორ თვალს შორის თხის მუხლის მსგავსი კვალი ეტყობოდათ, რადგან ღამე გაათენეს მწუხარებაში და ლოცვაზე დიდხანს დგომაში.’

უმარ ბინ ხატტაბს (აღლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) სახეზე ორი შავი ზოლი ჰქონდა ბევრი ტირილის (ე.ი ხშირად ტიროდა და ცრემლებმა სახეზე კვალი დაუტოვა) გამო.⁷⁴

ქა’ბ აღ-აჰბარმა თქვა: ‘მირჩევნია აღლაჰის შიშით ვიტურო და გადმომივარდეს მხოლოდ ერთი წვეთი ცრემლი, ვიდრე მთის წონა ოქრო გავცე უხალისო (უმაღური) გულით.’

ალი (აღლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) ამბობდა: მართლმორწმუნეების ნიშანია: ‘ფერმკრთალი სახე, მოღრუბლული (ე.ი აცრემლებული) თვალები, შიმშილისგან შეშუპებული ტუჩები, ტირილი და ღამის ლოცვაზე ფხიზლად დგომა’.

თავი 25

ხარვეზების შიში მათ რწმენაში

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო ისიც, რომ თავებს განადგურების პირას მყოფებად თვლიდნენ ჩადენილი ცოდვების გამო. ისინი ამბობდნენ: ‘იმედი გვაქვს, რომ აღლაჰი შეგვიწყალებს და ეს იქნება ნამდვილი მიღწევა, თუმცა საზრუნავი ის არის, რომ ჩვენ მოგვეკითხება პატარა შეცდომებისთვისაც.’

ეს თვითკრიტიკა ამცირებს აღდგომის დღის ტვირთს. ვინც ამქვეყნად საკუთარ სულს არ გაუწევს ანგარიშს, მას იმქვეყნად დიდხნიანი განკითხვა ექნება.

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, გეშინოდეთ აღლაჰისა, და შეხედოს სულმა, რა განუმზადებია მას ხვალისათვის, გეშინოდეთ აღლაჰისა, რამეთუ აღლაჰი მცოდნეა იმისა, რასაც აკეთებთ.⁷⁵

უმარ ბინ ხატტაბმა თქვა: ‘გაუწიეთ ანგარიში თქვენს თავებს მანამ, სანამ თქვენ გაგიწევინ ანგარიშს.’ იმ დღეს წარსდგებით და თქვენს შორის, არც ერთი საიდუმლოება არ დარჩება დაფარული.⁷⁶

⁷⁴ ფადაილ ას-საჰაბა 1:253

⁷⁵ ჰაშრ 59:18

⁷⁶ ჰაყყათ 69:18

აჰმად იბნ ჰურმუზ ალ-ა'რაჯი ამბობდა: 'განკითხე საკუთარი თავი იმაზე, რა სიმახინჯეც არის შენს წინაშე. ხვალ ყველა აღსდება და ისინი, ვინც ერთიდაიგივე ცოდვა ჩაიდინა ერთად შეიკრიბებიან.' ის კიცხავდა საკუთარ თავს და ასე ამბობდა: 'გამომცხადებელი იტყვის აღდგომის დღეს: ჰეი ხალხო, ვინც ჩაიდინა ესა და ეს ცოდვა, აღსდგებით! ასე რომ ა'რაჯ! მოგიწევს მათთან ერთად დგომა. და ისევ დაიძახებენ: ჰეი ხალხო! ვინც ესა და ეს ცოდვა ჩაიდინეთ, აღსდგით! ჰეი ა'რაჯ! მოგიწევს ყველასთან დგომა, ვინც ცოდვა ჩაიდინა!'

თავი 26

მცირედი ზრუნვა სახლების მშენებლობაზე

სალაფების მორალსა და მანერებში იყო ისიც, რომ მათ დიდად არ აინტერესებდათ სახლების შენება. თუ რომელიმე მათგანი სახლს ააშენებდა, ის შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმით, რაც სჭირდებოდა, ყოველგვარი მორთულობისა და გალამაზების გარეშე. ასე იმიტომ ხდებოდა რომ, მათ ჰქონდათ მხოლოდ ჰალალი მცირეოდენი შემოსავალი და არ ამყარებდნენ იმედებს ამქვეყნიურ ქონებაზე.

ანას ბინ მალიქი გადმოსცემს: შუამავალმა (აღლაჰის ლოცვა და სალამი მას) დახაზა ორი ხაზი და თქვა: ეს არის ადამიანის იმედი, ეს კი არის მისი სიკვდილის წამი, და როცა ის იმყოფება იმედის მდგომარეობაში, მას სიკვდილის ხაზი უახლოვდება.⁷⁷

ერთ-ერთმა სალაფმა სახლის მშენებელ ადამიანთან გაიარა, და ლექსი წაიკითხა:

„უკვდავებისთვის აშენებთ სახლებს?
დედამიწაზე ცოტა ხნით რჩებით,
ჯოხის ჩრდილში ყოფნაც საკმარისია,
ქონების მოხვეჭით ვერასდროს გაძლებით.“

ერთმა სალაფმა გაიგო, რომ მისმა მეგობარმა დიდი თანხა დახარჯა სახლისთვის და უთხრა: „სახლი რომ გექირავებინა, მხოლოდ იმის მეათედს დახარჯავდი, რაც ახლა დახარჯე.“

სალაფები სიხარბეს სძლევდნენ და ნაკლებ იმედს ამყარებდნენ მიწიერზე.

⁷⁷ ბუხარი 6418

თავი 27

მიწიერი ცხოვრება არ იყო მათთვის ძვირფასი

სალაფების ზნეობიდან იყო ის, რომ მიწიერ ცხოვრებას უმნიშვნელოდ მიიჩნევდნენ, როგორც ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

ამ სამყაროს მსგავსება საიქიოსთან შედარებით არის: რომელიმე თქვენგანმა თავისი თითი ჩაყოს ზღვაში და ნახოს რას ამოიღებს მისგან.⁷⁸

და ასევე მისი სიტყვა:

ალლაჰის წინაშე ამ ქვეყანას კოლოს ფრთის ოდენა ფასიც რომ ჰქონდეს, ის არ დაუშვებდა, რომ ურწმუნოებს ჰქონოდათ ყლუპი წყალი.⁷⁹

მალიქ ბინ დინარმა თქვა: „ფრთხილად იყავით ჯადოქრებისგან, რომლებიც სწავლულების გულებს აჯადოებენ და ალლაჰისგან და იმქვეყნიური ცხოვრებისგან ამორებენ. მისი ბუნება უფრო მახინჯია ვიდრე ჰარუთისა და მარუთისა, რადგან ჰარუთისა და მარუთის ჯადოქრობა ცოლს და ქმარს ამორებს ერთმანეთს, ხოლო მიწიერი ცხოვრების ფუფუნება ამორებს ალლაჰისგან.“

აბდულლაჰ იბნ მუბარაჟი ამბობდა: „ეს ქვეყანა მორწმუნისთვის ციხეა, ციხეში საუკეთესო მოქმედება არის მოთმინება და რისხვის კონტროლი. მორწმუნეს ამქვეყნად სამშობლო არ აქვს, მისი სამკვიდრო ხვალ, სიკვდილის შემდეგ მიწა იქნება.“ იბნ მუბარაჟის ფრაზას ამყარებს აიათი ყურანიდან:

სწორედ ის საბოლოო სამყოფელი დავადგინეთ მათთვის, რომელთაც არ სურთ გამედიდურება დედამიწაზე და უკეთურობის გავრცელება, ხოლო კეთილი ბოლო ღვთისმოშიშებისაა. (ყასას 28:83)

ერთი სალაფი ამბობდა: „თუ გინდა ალლაჰთან ახლოს იყო, მაშინ რკინის კედელი აღმართე შენსა და შენს ვნებებს შორის“

⁷⁸იბნ მაჯა 4108

⁷⁹თირმიზი 2320

თავი 28

ჰალალს ზედმეტად არ ფლანგავდნენ

სალაფების ზნეობიდან იყო ისიც რომ, ისინი უმიზნოდ არ ფლანგავდნენ ჰალალად მოპოვებულს. ეს იმიტომ, რომ ჰალალად მოპოვებული იშვიათია. სალაფები ჰალალი ფულის შოვნას ანიჭებდნენ უპირატესობას ყველა საზრუნავთან შედარებით, რადგან ისინი იმქვეყნიური ცხოვრების შვილები იყვნენ.

სუფთა და მართალი საქმეები საიქიოსკენ მსწრაფველი ხალხისთვის გამოსადეგია, და არა მათთვის, ვინც ჰარამს და საეჭვო საკვებს მიირთმევს. ჰარამის მჭამელი ადამიანი თუ მოინდომებს ალლაჰის მორჩილებას, აღმოაჩენს, რომ მისი სხეული დამძიმებულია და მორჩილებას ვერ ასრულებს. სწორედ ამიტომ უბრძანა ალლაჰმა შუამავლებსა და მორწმუნეებს ეჭამათ ჰალალი და სუფთა საკვები:

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ჭამეთ, რაც რამ კარგი საზრდო მოგმადლეთ და მადლობა შესწირეთ ალლაჰს, თუკი თქვენ მხოლოდ მას ეთაყვანებით.⁸⁰

ჰეი შუამავლებო! იგემეთ სუფთანი და სიკეთე აკეთეთ. მე ვიცი, რასაც აკეთებთ⁸¹

სუფთა და ჰალალი საკვების მიერთმევა არის უდიდესი საშუალება შეძლო ალლაჰისადმი მორჩილება, და აღსრულებული ვედრებები იყოს მიღებული.

იუნუს იბნ უბაიდურ-რაჰმანმა თქვა: “დღეს დირჰამზე ნაკლები არის სუფთა (ჰალალი). თუ მას მოვიპოვებთ, მისით შევეცდებით ავადმყოფობის განკურნებას“

და ბოლოს: სალაფები ბევრს არ ჭამდნენ თუნდაც საკვები ყოფილიყო ჰალალად მოპოვებული, რადგან დამძიმებული მუცლით რთულდება ალლაჰის მორჩილება.

⁸⁰ ბაყარა 2:172

⁸¹ მუმინუნ 23:51

თავი 29

საკუთარი ქმედებების უმნიშვნელოდ მიჩნევა

სალაფების ზნეობიდან და მანერებიდან იყო ის, რომ ისინი მათ ქმედებებს მიიჩნევდნენ უმნიშვნელოდ. ისინი არასდროს ფიქრობდნენ რომ რაღაც ღირებული გააკეთეს.

ერთ-ერთმა სალაფმა თქვა: „აღლაჰის წყალობა იმდენია, რომ მისი მსახურები ვერ დაითვლიან. ასე რომ შედით მისი ნების ქვეშ დილით მონანიებით და საღამოს მონანიებით“

ალ მულირა გადმოსცემს, შუამავალი მუჰამმადი (აღლაჰის ლოცვა და სალამი მას) იდგა (ლოცვაზე) და ლოცულობდა იქამდე ვიდრე ფეხები არ დაუსივდებოდა. მას ჰკითხეს რატომ ასრულებდა ამდენს და მან თქვა: არ უნდა ვიყო მადლიერი მსახური? (ბუხარი 1130)

სალაფები მოუთმენლად ელოდნენ დაღამებას რომ მათი ღმერთის წინაშე განმარტოვებულიყვნენ, და წუხდნენ გათენების დროს, რადგან ხალხი დააყოვნებდა მათი ღმერთის თაყვანისცემისგან.“

სალაფებმა მიაღწიეს რწმენის საკითხებში უდიდეს მწვერვალს. დღეს ხალხის განწყობა და მისწრაფება შეიცვლება თუ გაიგებენ რომ ხვალ დადგება მათი სიკვდილის დღე, სალაფებში კი არაფერი შეიცვლებოდა, ვინაიდან სულ მზად იყვნენ სიკვდილთან შესახვედრად.

მუჰამმად იბნ აბუ უმაირა (აღლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) რომელიც იყო აღლაჰის შუამავლის (აღლაჰის ლოცვა და სალამი მას) საჰაბე, ასე თქვა: „თუ ადამიანი დაბადებიდან მოხუცებულობამდე აღლაჰის მორჩილების ნიშნად პირქვე დაემხობა, განკითხვის დღეს, მაინც ცოტად მოეჩვენება და ისურვებს რომ კეთილი საქმეები გაუმრავლდეს.“

თავი 30

ცოდნისა და ხელმძღვანელობის დროს შეცდომის დაშვების შიში

სალაფების ზნეობიდან და ჩვეულებიდან იყო - ეშინოდათ რომ მათ ცოდნაში და საქმეში შეცდომა არ გარეულიყო, და ეშინოდათ რომ მათ მიერ გაცემული ფეთვა უმმეთისთვის არ ყოფილიყო შეცდომა. ნუ იფიქრებთ, რომ სალაფებს უყვარდათ საერო საქმეებში ამაღლება და თანამდებობა. მათ ეშინოდათ რომ არ მოხვედრილიყვნენ ამ აიათის ქვეშ:

და არ თქვათ ტყუილი თქვენი ენებით: ეს ნებადართულია, ეს - აკრძალულია, რითიც ალლაჰზე სიცრუეს შეთხზავთ. ჭეშმარიტად, ისინი, რომელნიც ალლაჰზე სიცრუეს თხზავენ, ნეტარნი ვერ იქნებიან!⁸²

აბდურ-რაჰმან იბნ აბი ლეილამ (ალლაჰმა შეიწყალოს) თქვა: მე შევხვდი ალლაჰის შუამავლის 120 საჰაბას, მათგან არავინ ლაპარაკობდა ისე, რომ გულში არ ჰქონოდა სურვილი, რომ მისი ძმის სიტყვა ყოფილიყო საკმარისი (ანუ თვითონ კი არა, სხვას ელაპარაკა). და არცერთი არ იძლეოდა ფათვას ისე, რომ სურვილი არ ჰქონოდა, რომ მისი ძმა გამხდარიყო საკმარისი (ანუ მის მაგივრად სხვას ეპასუხა).“

საჰაბები არ ჩქარობდნენ წინ წამოწევას, არც საუბარში და არც ცოდნის გადაცემაში. მათ სურდათ, რომ სხვებს ჰქონოდათ შესაძლებლობა ეთქვათ, ეპასუხათ, ფათვა გაეცათ. ისინი თავად არ ცდილობდნენ გამორჩეულიყვნენ, არამედ ყოველთვის სხვისი ღირსების ამაღლება სურდათ. ეს არის თავმდაბლობისა და ძმობის უდიდესი ნიმუში.

ფუდაილ იბნ იადი ამბობდა: „დინარის (ფულის ერთეული) გაცემა უფრო მიყვარს, ვიდრე ფეთვეების, რადგან ეს უფრო მსუბუქია ჩემი სულისთვის.“

ზოგიერთმა ადამიანმა სთხოვა სუფიან იბნ უიანას რომ მათთან დამჯდარიყო ლექციის წასაკითხად, მაგრამ მან უარი თქვა და უთხრა მათ: „მე არ ვარ იმ მდგომარეობაში, რომ თქვენ ცოდნა გადმოგცეთ, და თქვენც არ ხართ იმ დონეზე, რომ ეს ცოდნა სწორად გაიგოთ. ჩემი და თქვენი მდგომარეობა ჰგავს იმ სიტყვას: *„გამოაჩინეთ ერთმანეთის ყველა ნაკლი, შემდეგ კი ერთად შეეცადეთ დამალოთ ისინი!“*

სუფიან იბნ უიანა ამით თავმდაბლობას გამოხატავდა. იგი გრძნობდა, რომ თვითონაც არასაკმარისია და მსმენელიც არასაკმარისად მომზადებული. ამიტომ თვლიდა, რომ ცოდნის მაგივრად ერთმანეთის შეცდომების დაფარვაზე და სულის გამოსწორებაზე ყოფილიყვნენ ფოკუსირებულნი.

აბუ მუსლიმ ალ-ხავლანიმ (რაჰიმაჰულლაჰი) თქვა: „ბევრი ადამიანი ცხოვრობს ხალხს შორის ისეთი, ვინც მათი ცოდნით ანადგურებს მის სულს და ეს არის ეგოიზმი.“

აბუ ჰაზიმი ამბობდა: „ჩვენი დროის სწავლულები ბევრს ლაპარაკობენ და ცოტას აკეთებენ. სალაფები კი ცოტას ლაპარაკობდნენ და ბევრს აკეთებდნენ.“

⁸²ნაჰლ 16:116

აბურრაჰიმ ას-სულამი: „ჩვენ შევხვდით ადამიანებს, ვინც სწავლობდა ყურანის ათ აიათს და არ გადადიოდა სხვა აიათებზე სანამ ნასწავლს პრაქტიკაში არ გამოიყენებდნენ.“

თავი 31

ერთმანეთის გულწრფელად მოკითხვა

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო ისიც, რომ ისინი გულწრფელად კითხულობდნენ ერთმანეთს და მოკითხავდნენ თუ ჰქონდათ საჭმელი, ტანსაცმელი და ფული. ისინი ეხმარებოდნენ ერთმანეთს და იხდიდნენ მათ ვალებს და იზიარებდნენ მათ ტვირთს. ხალხი დღეს გაუცხოებულია და არ იცავენ სალაფების ამ გზას და წინააღმდეგობაში არიან. შეიძლება ვიღაცამ ჰკითხოს მის მეგობარს „როგორ ხარ? ან როგორ მიდის საქმეები?“ მან კი უპასუხოს: „ყველაფერი კარგადაა“ და მისი რეალური საჭიროება არც თქვას და მეგობარი არც კი ინტერესდება მისი პრობლემებით. ფრაზა „როგორ ხარ?“ დღეს უკვე ჩვეულებად იქცა, რომელ კითხვაზეც ადამიანების უმეტესობა პასუხს არც კი ელოდება. ამიტომ კითხვის ავტორი არც პასუხს ელოდება და არც მოპასუხე ცდილობს აზრიანი პასუხის გაცემას.

ერთ-ერთმა სალაფმა თქვა: „თუ რომელიმე თქვენგანს არ სურს თავისი ძმის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მისი საზრუნავის გაზიარებით ან სულ მცირე ვედრებით, მაშინ ნუ იკითხავთ – როგორ არის მისი საქმეები – რადგან ეს თვალთმაქცობად ითვლება.“

სალაფები ერთმანეთს ეკითხებოდნენ იმიტომ, რომ უყურადღებოებისთვის ალლაჰისადმი მაღლიერების გრძნობა შეეხსენებინათ, და ასეთი მეთოდით მოკითხვაც ნაყოფიერი იყო.

აბუ ბაჟრ ას-სიდდიყს (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰკითხეს: „როგორ ხარ დღეს დილით? მან უპასუხა: „დღეს დილით უზენაესი ალლაჰის წინაშე თავმდაბალი მსახურივით ვარ, მისი ბრძანებით მითენდება.“

იმამ შაფის ჰკითხეს: „როგორ ხარ დღეს დილით? მან უპასუხა: „დღეს დილით ვჭამე ჩემი ღმერთის სარჩო, მაგრამ არ ვიყავი მის მიმართ საკმარისად მაღლიერი“

მალიქ ბინ დინარსაც იგივე კითხვა დაუსვეს: „როგორ ხარ ამ დილით? მან უპასუხა: „ჩემს სიცოცხლეს დღეები აკდლდება, ხოლო ცოდვები მემატება“

თავი 32

იბლისთან (სატანა-შაიტან) ბრძოლა.

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან იყო ის რომ ისინი იბრძოდნენ იბლისის ხრიკების და გეგმების წინააღმდეგ. უზენაესმა ალლაჰმა თქვა:

შაიტანი თქვენი მტერია და მიიღეთ იგი მტრად, რამეთუ ის მოუწოდებს თავის მოკავშირეებს, რათა გახდნენ ცეცხლის ბინადარი. ⁸³

შაიტანის ხრიკები ცხოვრების ის მომენტია, რომელსაც ბევრი ადამიანი აიგნორებს. იბლისი არასოდეს გვტოვებს უყურადღებოდ, და ჩვენც არ უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ, რადგან ის ცდილობს ადამიანი დააბროკოლოს და შეიყვანოს ისეთ საქმეში, რაც ღმერთს არ უყვარს.

ჯაბირი გადმოსცემს: გავიგონე ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ამბობდა: იბლისის (შაიტან) ტახტი არის ზღვაზე და ის გზავნის რაზმს (სხვადასხვა ადგილებში) რათა შეაცდინონ ადამიანები და ყველაზე მნიშვნელოვანი პირი მის თვალში არის ის, ვინც ყველაზე მეტ ფიტნას (არეულობა,საცდური,უსამართლობა) თესავს. ⁸⁴

ვაჰბ ბინ მუნაბიჰი ამბობდა: 'ნუ იზამთ ისე, რომ საჯაროდ შაიტანი ლანძღოთ, ხოლო ფარულად მას ემორჩილებოდეთ. ვინც ღმერთის ურჩობაში დაიძინებს, შაიტანიც მასთან დაიძინებს.'

ყურადღებით იყავი ძვირფასო ძმაო და ფრთხილად იყავი. ნუ იფიქრებ, რომ იბლისმა მიგატოვა თუნდაც თაყვანისცემით იყო დაკავებული. ამიტომ ხშირად ახსენე ღმერთის სახელი და მასთან ახლოს იყავი.

ჰასან ალ-ბასრიმ თქვა: როდესაც შაიტანი (სატანა) გხედავს, რომ შეუპოვარი ხარ ალლაჰის მორჩილებაში, ის ყველაფერს გააკეთებს, რათა მოგატყუოს, თუ ისევ ხედავს, რომ შეუპოვარი ხარ თავს დაგანებებს და მიგატოვებს. თუ ის დაინახავს, რომ მერყევი ხარ, იმედი მიეცემა. ⁸⁵

⁸³ ფატირ 45:6

⁸⁴მუსლიმი 2813

⁸⁵იბნ რაჯაბ ალ-ჰანბალი გვ 39

თავი 33

ფიქრი მადლიერების გამოხატვაზე

სალაფები თვლიდნენ, რომ ალლაჰის მიერ მათზე ნაწყალობებისთვის ერთი ატომის წონა მადლიერებაც კი არ გამოუხატავთ. სალაფები მადლიერებას ალლაჰის წყალობად მიიჩნევდნენ. ალლაჰის წყალობა დაუსრულებელია და მას ვერავინ დაეწევა მისი მადლიერებით.

ვაჰბ ბინ მუნაბიჰმა თქვა: 'თუ ღმერთს მადლობას უხდი, ეს შენზე მოცემული კიდევ ერთი წყალობაა. მადლიერება ნიშნავს - შენ გააცნობიერე, რომ ღმერთმა უხვი წყალობა მოგცა და ასევე გააცნობიერე შენ ამისთვის საკმარისად ღმერთის მადლიერი არ ხარ'.

საკლ ატ-ტუსტარი: 'შენი მთელი სხეული არის ღმერთის წყალობა და მისით ნუ ეურჩები ღმერთს.'

როდესაც სუფიან ას-საური პოლიციელის (ხალხი ვისაც ევალეზოდა წესრიგის დაცვა, თუმცა უწესობას უფრო იცავდნენ) გვერდით გაივლიდა, ის უზენაესი ალლაჰის წინაშე სეჯდეს ასრულებდა და ამბობდა: 'დიდება ალლაჰს, რომელმაც არც პოლიციელი გამხადა და არც გადასახადის ამკრეფი. შემდეგ ის თავის ოჯახს ეტყოდა: 'ზოგიერთი გაჭირვებული ადამიანი თქვენს გვერდით დგას და ჯილდოს იღებს თავისი განსაცდელისთვის, და თქვენ ითხოვთ ალლაჰისგან რომ დაგიცვათ ასეთი განსაცდელისგან (ე.ი გაჭირვებისგან), მაგრამ თქვენს გვერდით დგას მჩაგვრელი ადამიანი, სცოდავს და თქვენ კი არ სთხოვთ ალლაჰს რომ დაგიცვათ მჩაგვრელობისგან.'

ალლაჰის სიტყვა: ჭეშმარიტად, ადამიანი თავისი ღმერთის უმადურია.⁸⁶

ჰასან ალ-ბასრიმ თქვა: ადამიანი უმადურია და ითვლის უბედურებებს (თუ რამდენი შეემთხვა) და ივიწყებს ალლაჰის წყალობას.⁸⁷

თავი 34

ღვთისმოსაობაზე დაფიქრება

სალაფები ხშირად ფიქრობდნენ მათ ღვთისმოსაობაზე და თვლიდნენ, რომ ღვთისმოსაობაში სუსტები იყვნენ და ამ საკითხში მომატებას ცდილობდნენ.

⁸⁶სურა 'ადიათ 100:6

⁸⁷ თავსირ ატ-ტაბარი 24:585

აღლაჰის სიტყვა: თავს განწმენდილად ნუ ჩათვლით, რამეთუ მან ყველაზე უკეთ იცის, ვინცაა ღვთისმომში. ⁸⁸

აღლაჰის შუამავალმა (აღლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: “ღვთისმოსაობა (თაყვა) არის აქ, და მიუთითა გულზე“ ⁸⁹

აბუ დარდა: ღვთისმოსაობა (თაყვა) მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანს აქვს ღმერთის შიში, თუნდაც ეს იყოს ატომის წონა საგნებთან დაკავშირებითაც“.

აბუ ჰურაირას ჰკითხეს თაყვას შესახებ. მან უპასუხა: „თაყვა ეკლიან გზას ჰგავს, ვინც მასზე დადის, უდიდესი მოთმინება უნდა ჰქონდეს.“

სუფიან ას-საური: „ჩვენ ვხვდებოდით ხალხს რომლებსაც მოსწონდათ როცა ეტყოდნენ, რომ აღლაჰის შიში ჰქონოდათ, დღეს კი ხალხი ამაზე ღიზიანდება“

ერთმა ადამიანმა ჰკითხა ფუდაილ იბნ 'იადს: „რომელ ქვეყანაში ისურვებდი რომ მეცხოვრა? ფუდაილმა უპასუხა: 'შენთვის საუკეთესო ქვეყანა, ის ქვეყანაა, რომელიც ღვთისმოსაობაში გეხმარება'.

ძმაო, გამოიკვლიე შენი სული გეშინია თუ არა აღლაჰის ისე როგორც სალაფებს ეშინოდათ? ან ხომ არ დაკარგე ეს უნარი? ისწრაფე აღლაჰის პატიებისკენ. და ბოლოს ყველა ქება-დიდება მას ეკუთვნის - სამყაროთა ღმერთს.

თავი 35

სხვისი შეცდომების დაფარვა და მხოლოდ საკუთარ თავზე ფოკუსირება

სალაფების მორალიდან იყო, რომ ისინი გამუდმებით ცდილობდნენ დაეფარათ მათი ძმების შეცდომები. მათ არ უყვარდათ ვინმეს შერცხვენა. ისინი მხოლოდ მათ საკუთარ თავებს იკვლევდნენ რათა არ შესულიყვნენ ჰარამში (აკრძალული), განსაკუთრებით ენის, კუჭის, სასქესო ორგანოების და თვალების ჰარამში.

აბუ ათია გადმოსცემს: აღლაჰის შუამავალმა (აღლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: 'თავი შეიკავეთ აკრძალულისგან და იქნებით ყველაზე გულწრფელი თაყვანისმცემელი ხალხს შორის. დაკმაყოფილდით იმით, რასაც აღლაჰი გაძლევთ და იქნებით ყველაზე მდიდარი ადამიანი. სიკეთით მოექცით

⁸⁸სურა ნეჯმ 53:32

⁸⁹მუსლიმი 16/120

ხალხს და იქნებით კარგი მორწმუნე. ისურვეთ ხალხისთვის ის, რაც საკუთარი თავისთვის გასურთ და მუსლიმი იქნები. და ნუ იცინებთ ბევრს, რადგან ზედმეტი სიცილი გულს კლავს.⁹⁰

იუნუს იბნ უბაიდმა თქვა: 'სიფრთხილე რელიგიაში არის ყველანაირი საექვოსგან თავის შორს დაჭერა და ფხიზლად ყოფნა. ვინც ასე არ იქცევა, ნიშნავს რომ ფრთხილი არ არის'

ერთ-ერთი სალაფი ამბობდა: 'ნუ იქნები უყურადღებო წვრილმანებში, რადგან ეს კიბეა, რომელიც დიდ საკითხებში უყურადღებობისკენ მიგიყვანს.'

ად-დაჰჰაყი ამბობდა: 'ჩვენ შევხვდით ადამიანებს რომლებიც სამი თვით ან მეტი ხნით მოგზაურობდნენ, რომ რელიგიურ საკითხებში სიფრთხილე შეესწავლათ. დღეს ადამიანები ამ ცოდნას არ ეძებენ და არც პრაქტიკაში იყენებენ, მაშინაც კი, თუ მათი ყურადღება ამაზეა მიპყრობილი.'

თუ სალაფებს სადმე ფული დაეკარგებოდათ და ისევ იმ გზით უკან დაბრუნდებოდნენ, დაკარგული ფულის დანახვისთანავე არ იღებდნენ მას ამბობდნენ: 'შეიძლება ეს ფული სხვისი ჯიბიდან გადმოვარდა და ჩემი ვილაცამ წაიღო'.

თავი 36

მათი ინტელექტი

სალაფები ძალიან მშვიდები იყვნენ მათი ღრმა რწმენის, ინტელექტის და ცოტა ლაპარაკის გამო.

მორწმუნეთა მმართველი ალი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ამბობდა: 'ადამიანი სიმაღლეში 22 წლამდე იზრდება, მისი ინტელექტი პიკს 28 წლამდე აღწევს, ამის შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე მხოლოდ გამოცდა და ტანჯვაა.'

ყათადა ამბობდა: 'კაცები სამი ტიპისაა: კაცი, ნახევრად კაცი და არა კაცი. კაცი ის არის ვისი აზრიც და ინტელექტიც სასარგებლოა. ნახევარი კაცი ისაა, ვინც ჭკვიან ხალხს ეჭვით უყურებს და მხოლოდ მისი აზრით მოქმედებს. არა კაცი ისაა, ვისაც არც ინტელექტი აქვს, არც აზრი და სხვასაც არაფერს ეკითხება'.

⁹⁰იმამ აჰმადის ზუჰდი 2:310, იბნ მაჯა 4217

სუფიან იბნ უიანამ თქვა: 'ყველაზე სწრაფ არსებებსაც კი სჭირდებათ ხმა. ყველაზე ჭკვიან ქალებსაც სჭირდებათ ქმარი, ხოლო ყველაზე ჭკვიან კაცებსაც სჭირდებათ ბრძენ ხალხთან ურთიერთობა.'

ვაჰბ ბინ მუნაბიჰმა თქვა: 'ვინც იტყვის რომ ჭკვიანია მაგრამ მისი მიზანი არ არის საიქიო ცხოვრების მოპოვება, მაშინ - იგი იტყუება'

ასე რომ ძმაო მიჰყევი სალაფების გზას და იპოვი სიმშვიდეს. დიდება ალლაჰს სამყაროთა ღმერთს

თავი 37

ხშირად დუმდნენ და ბრძნულად ლაპარაკობდნენ

სალაფების ზნეობიდან იყო ის, რომ ისინი ხშირად დუმდნენ და როცა ხმას იღებდნენ ბრძნულად ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ მხოლოდ იმას, რაც გასაგები იქნებოდა.

ერთმა სალაფმა თქვა: 'სიბრძნეს ოთხი სინათლე აქვს: ცოდვების შემდეგ სინანული, სიკვდილისთვის მზადება, კუჭის სიცარიელე და მიტოვება იმ ადამიანის, ვინც მხოლოდ მიწიერზე გიხმობს'.

აქ მოცემულია რამდენიმე მაგალითი:

იმამ აშ-შაფიიმ თქვა: „მოდუნებული ადამიანები ყველაზე მეტად შურიანები და ბოლმიანები არიან“

იმამ აშ-შაფიი ამბობდა: 'ვინც სხვების შესახებ ჭორებს გიყვება, ის თქვენს შესახებაც ასევე იჭორავებს. ვინც ზღაპრებს მოგიყვება, იგივენაირად მოყვება თქვენზეც. როცა მას სიკეთეს გაუკეთებთ, ის მოგაწერთ ისეთ რამეს, რაც თქვენში საერთოდ არ არის. ხოლო როდესაც თქვენზე გაბრაზდება, ის იტყვის თქვენს შესახებ იმას, რაც თქვენში არ არსებობს.“

ფუდაილ იბნ 'იადი: 'ვინც ბევრ შეგონებას იძლევა, მისი მეგობრები ცოტანი იქნებიან'.

იაჰია იბნ მუაჰმა თქვა: 'ვინც მომთმენია, ყველაზე მალლა დგას და ვინც რისხვას ვერ იკავებს, დამცირების ზღვაში ჩაიძირება.'

გააცნობიერე ძმაო ეს და განწმინდე შენი შინაგანი სამყარო. მოუხშირე უზენაესი ალლაჰის ხსენებას და როდესაც შენი შინაგანი სამყარო განიწმინდება, ალლაჰი შეგასწავლის სიბრძნით ლაპარაკს და შენ გახდები შენი დროის ბრძენი.

თავი 38

დუმილი და მარხვა

სალაფების ზნეობიდან იყო ისიც, რომ ისინი ხშირად მარხულობდნენ და ცოტას ლაპარაკობდნენ. ბევრი ლაპარაკის ნაცვლად მათ ცოდნას პრაქტიკაში იყენებდნენ.

მუჰამად არ-რაბია ამბობდა: 'ვის მუცელშიც ზედმეტი საჭმელი შევა, მისი პირიდან ზედმეტი სიტყვები გამოვა.'

იბრაჰიმ ან-ნაჰაი: 'ვინც დაფიქრდება, აღმოაჩენს, რომ ყველაზე კეთილშობილი და ღირსეული ადამიანი ის არის, ვინც შეკრებებზე ყველაზე ჩუმადაა, რადგან დუმილი სწავლულს ამშვენებს და უცოდინარის ნაკლს ფარავს.'

მარუფ ალ-ქირაბი: 'არასაჭირო საკითხებზე ლაპარაკი იმის ნიშანია, რომ ალლაჰმა ის ადამიანი მიატოვა.'

აბუ ბაქრ ას-სიდდიყი პატარა ქვას პირში იღებდა და ამას რამდენიმე წლის განმავლობაში აკეთებდა, რათა ცოტა ლაპარაკი ჩვევად ექცია. ქვას მხოლოდ ჭამისა და ლოცვის დროს იღებდა. ეს ყველაფერი ზედმეტი ლაპარაკის შიშით ხდებოდა.

იბნ მათი ალ-აშაბი: 'ვინც ბევრს ლაპარაკობს, მისი შეცდომები მატულობს.'

თავი 39

ჭორაობაზე მორიდება

სალაფების ზნეობიდან იყო ის, რომ ისინი მათ შეკრებებზე ჭორაობას და ჭორაობისკენ მიმავალ ყველა გზას ერიდებოდნენ რათა მათი შეკრება ცოდვით სავსე არ გამხდარიყო. მათ იცოდნენ, რომ მათი კარგი საქმეები გადავა მასზე, ვისზეც იჭორავებდნენ, უფრო ხილდებოდნენ მათ კეთილ საქმეებს რომ სხვაზე არ გადასულიყო.

ალლაჰის სიტყვა:

ჰეი თქვენ რომელთაც ირწმუნეთ, მოერიდეთ მრავალ ვარაუდს. ჭეშმარიტად, ზოგიერთი ვარაუდი ცოდვაა. და ნუ გამოიკვლევთ ერთმანეთის შეცდომებს და ნუ გაკიცხავს ზოგი თქვენგანი ზოგიერთს ზურგსუკან! განა სურს თქვენგან რომელიმეს, რომ ჭამოს ხორცი თავისი მკვდარი ძმისა?! თქვენ ხომ გპულთ იგი. და გეშინოდეთ ალლაჰისა. ჭეშმარიტად, ალლაჰი მიმტევებელი, მწყალობელია.⁹¹

⁹¹ სურა ჰუჯურათ 49:12

სუფიან ას-საური: 'როცა შენი ძმა შენთან არ არის, ახსენე იგი ისეთი სახით, როგორი სახითაც შენ გესიამოვნებოდა რომ გახსენოს.'

მალიქ ბინ დინარმა თქვა: 'ცოდვებად საკმარისია შეკრებებზე სხვების გაჭორვა.'

მუჰამმად იბნ სირინი: 'ცილისწამების ფორმა რომელსაც ხალხის უმეტესობა არ აკვირდება არის როცა ამბობენ: ეს ადამიანი უფრო მცოდნეა ვიდრე მეორეო. ამით ხომ ღიზიანდება ის ვინც ნაკლებად მცოდნედ მიიჩნის? ცილისწამება ნიშნავს, რომ რასაც სხვაზე ამბობენ მას ნათქვამი არ მოსწონს.'

ძმაო, დაფიქრდი შენს სულზე და შეხედე თავისუფალი თუ ხარ ამისგან? თუ ამ საქმეში ხარ ჩაფლული მაშინ ითხოვე ღმერთისგან პატიება.

თავი 40

განწმენდა და ლოცვაზე კონცენტრაცია

სალაფების ზნე-ჩვეულებებიდან სიწმინდე და კონცენტრაცია იმაში მდგომარეობდა რომ მათი აბდესი და ლოცვა იყო სრული ყურადღების ქვეშ და შაიტანის ჩურჩული ყურადღებას ვერ ატანინებდა სხვა რამეებზე. ასე იმიტომ ხდებოდა რომ ვასვასი (შაიტანის ჩურჩული) დაბინძურებულ გულებში შედის, ეს კი თავისმხრივ საეჭვო და ჰარამი საკვების მიღებისგან მოდის... სალაფების გულები სუფთა იყო. ვინც ჰალალ საკვებს მიირთმევს, იბლისი ვერასოდეს იპოვის მასთან მიახლოების გზას. ზოგიერთი ადამიანი ვინც ძალიან ბევრ საკვებს ჭამდა, უშედეგოდ ცდილობდა ღმერთთან დაახლოებას. ასეთ ადამიანებს ყველაზე მეტად ერთულებათ ლოცვის წინ სწორი განრახვა და კონცენტრაცია და ისე უყურადღებოდ იქცევიან თითქოს რაღაც დაუვარდათ და ეძებენ.

ისე უყურადღებოდ არიან, რომ პირველი თაქბირის დროს ამბობენ: აქ, აქ, აქ, ბაარ, ბაარ, ბაარ. ზოგიერთი სწავლული ამბობდა, რომ ასეთი ქმედება აუქმებს ლოცვას. თუ რომელიმე მათგანს ეტყვი, რომ ისე აიღოს აბდესი როგორც ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) გააკეთა, ის ამით კმაყოფილი არ დარჩება. ჩვენ კი ვთხოვთ ღმერთს, დაგვიფაროს ამკარა გადახრისგან, რომელიც შაიტანის ჩურჩულია და რომელსაც ისლამში არ აქვს საფუძველი.

თავი 41

საიდუმლოებების დაფარვა

სალაფების მორალიდან იყო ის, რომ ხალხის საიდუმლოებებს მალავდნენ. ისინი ასე ამბობდნენ: 'გულები საიდუმლოებების სასაფლაოა'.

ნამიმას (არასაჭირო ამბები) მოყოლა არის ისეთი სიტყვების გაცხადება, რაც მესამე მხარეს ზიანს აყენებს, ის ასევე განისაზღვრება როგორც: 'იმის გამოვლენა, რაც არ არის სასურველი'.

ჰუზაიფა გადმოსცემს: გავიგონე შუამავალი (აღლაჰის ლოცვა და სალამი მას) ამბობდა: 'ჭორიკანა ვერ შევა სამოთხეში'⁹²

ესეიგი სამოთხეში ვერ შევა ის ვინც მიმართავს ნამიმას. ყურანში 111-ე სურაში მოთხრობილია აბუ ლეჰების და მისი ცოლის შესახებ. აბუ ლეჰების ცოლზე ნათქვამია:

და მისი ცოლი შეშის მზიდავი⁹³

აიათის განმარტებაში ნათქვამია, რომ ის ქალი ხშირად მიმართავდა ნამიმას და ავრცელებდა ჭორებს.

იაჰია იბნ აბი ქასირი ამბობდა: 'ის, ვინც ნამიმას მიმართავს, ჯადოქარზე უარესია, თუმცა ამას ვერავინ ხვდება. რაც შეუძლია ჭორს ერთ დღეში, ჯადოქარი ამას ერთ თვეში ვერ გააკეთებს. ჭორაობამ უამრავი სისხლისღვრა და გასაჭირი გამოიწვია, რამაც ხალხი საკუთარი ქვეყნებიდან გააძევა და კიდევ სხვა ბევრი ბოროტებაც გამოიწვია.'

ხალიდ ბინ საფრანმა თქვა: 'შეიძულეთ ჭორაობა, თუნდაც სიმართლე ითქვას'

იცოდეთ ეს ძმანო და ერიდეთ ხალხის საიდუმლოების გამხელას და სხვებისთვის იმის გაზიარებას, რასაც მათგან ისმენ. დიდება ალაჰს სამყაროთა ღმერთს.

თავი 42

საკუთარ შეცდომებზე ფოკუსირება

სალაფების მორალსა და მანერებში იყო ისიც, რომ სახვათა შეცდომების ნაცვლად, საკუთარ შეცდომებზე იყვნენ ორიენტირებულნი. ისინი ყოველთვის ცდილობდნენ დაეფარათ სხვა ადამიანების ნაკლოვანებები,

⁹² ბუხარი 6056

⁹³თაბაათ 111:4

როგორც ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ურჩია მათ: 'არ გინდათ გითხრათ ვინ არიან თქვენს შორის ყველაზე ცუდები? ისინი, ვინც ჭორაობენ და აშორებენ ერთმანეთისაგან მათ ვისაც ერთმანეთი უყვართ'⁹⁴

ერთ-ერთმა სალაფმა თქვა: 'თქვენ ხედავთ თქვენს შეცდომებს მაგრამ მაინც გიყვართ საკუთარი თავი, მაგრამ როცა თქვენი ძმის შეცდომას ხედავთ, მას იძულებთ. მაშინ სად არის ლოგიკა?'

გადმოცემულია რომ 'ისამ, მარიამის შვილმა თქვა: 'ნუ უყურებთ ხალხის შეცდომებს ისე, თითქოს ღმერთები იყოს, არამედ შეხედეთ თქვენს შეცდომებს ისე, თითქოს მონები ხართ, რადგან ადამიანები ორი ტიპისაა: დამოკიდებული და შეწყალებული. ამიტომ შეიწყალე გაჭირვებული და მაღლობა უთხარი ღმერთს შეწყალებისთვის, მფარველობისა და დაცვისთვის.'

მორწმუნეთა ამირმა, უმარ ბინ ხატტაბმა თქვა: 'ალლაჰმა შეიწყალოს იგი, ვინც ჩემს შეცდომაზე მიმითითა.'

ამ-შაბი ამბობდა: 'ვინც ეძებს მისი ძმების შეცდომებს, მეგობრების გარეშე დარჩება.'

ასე რომ, შეაკავე შენი ენა ძვირფასო ძმაო, რადგან ის, ვინც ხალხს გულს ატკენს, ერთ დღეს თავადაც გაუტყდება გული. ფრთხილად იყავი და არ დაივიწყო საკუთარი თავი, როცა სხვების შეცდომებს ეძებ, ეს შენი შეცდომების შეხსენება უნდა იყოს.

მიწა, რომელზეც დავდივართ ყველასთვის ერთია, თუ სხვა წაიქცა, მაშინ შენც წაიქცევი.

თავი 43. გულუხვობა და ნუგეშისცემა

სალაფების მორალსა და მანერებში შედიოდა ღრმა კეთილშობილება, გულუხვობა, ქონების გაცემა და ერთმანეთის ნუგეშისცემა მოგზაურობისა თუ სხვა დროს. აბდულლაჰ იბნ უმარი თავის თანამგზავრებს წინაპირობას უყენებდა, რომ თავად დახარჯავდა მათზე ფულს. აბდულლაჰ იბნ მას'უდს ჰკითხეს, თუ ვინ იყვნენ გონიერი ადამიანები, მან უპასუხა: 'ის ვინც თავის სიმდიდრეს იქ ინახავს, სადაც ქურდი ვერ მიაგნებს (ე.ი ზეცაში)'

აბდულლაჰ იბნ ჯა'ფარი ქორწილში იყო მიწვეული, მაგრამ გარკვეული სირთულეების გამო ვერ შეძლო წასვლა. მან საქმროს 500 დინარი გაუგზავნა, ბოდიში მოუხადა და პატიება სთხოვა გამოუცხადებლობისთვის.

⁹⁴ აჰმად 6/459

საად იბნ უბადა: 'ღმერთო, მომეცი სიმდიდრე, რომლის გამოყენებაც სიკეთისთვის შემიძლია, რადგან სიკეთის კეთების სურვილი სიმდიდრის გარეშე ვერ დაკმაყოფილდება' შემდეგ წაიკითხა:

*'ვხედავ სული ჩემი ილტვის სიკეთისაკენ;
მაგრამ ფული არ მაქვს, გზა ვერ მოვწახე,
და არ მსურს რომ ჩემმა სულმა გაიწიოს სიძუნწისაკენ;
და მე ვერ შევძლებ შევასრულო რაც განვიზრახე.'*

გაიაზრე ეს ძმაო და ერიდე საჩვენებლად ღვთისმოსაობის დემონსტრირებას, მაშინ როცა სალაფების მსგავსად არ ხარ გულუხვი, კეთილშობილი და ზნეობითაც მათგან შორს ხარ. ისინი უხვად გასცემდნენ, სამოსსაც შუაზე ყოფდნენ და ნახევარს ძმას აძლევდნენ. ვინც მათ რამეს სთხოვდა, ისინი ამბობდნენ: 'კეთილი იყოს შენი მობრძანება, ვისაც ჩვენი სარჩო საიქიოში უსასყიდლოდ მიაქვს'

თავი 44. სიკეთე სტუმრების მიმართ

სალაფების მორალსა და მანერებში შედიოდა სიკეთე სტუმრების მიმართ. ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: 'ვისაც სწამს ალლაჰის და უკანასკნელი დღის, პატივი სცეს სტუმარს...'⁹⁵

ანას ბინ მალიქი: 'სახლის ზეჟათი არის სტუმრებისთვის ოთახის დატოვება'. ერთ-ერთმა სალაფმა დაგმო ადამიანი რომელიც პატივს არ სცემდა სტუმრებს და წაიკითხა ლექსი:

*'თუ გინდა იყოს შენთან მეგობრული;
მაშინ არ აიღო მისი პური;
მისთვის სიკვდილი უფრო რბილია;
ვიდრე ლუკმის გაყოფა და შენი გახარება;
თუ მის პურს გატეხავ;
მისთვის იგივეა - რომ გაუტყდეს ძვალი;
თუ დააპირებ მასთან სტუმრობას;
მაშინ, წაიღე შენი პური და წყალი.'*

⁹⁵ბუხარი 6136

თავი 45

მოწვევებზე სიფრთხილე

სალაფები არასოდეს იღებდნენ მოწვევას ჰარამ საკვებზე.

აბუ მასუდ ალ-ბადრი არასოდეს ღებულობდა ქორწილის მოწვევას თუ იქ იყო ჰარამი ნივთები.

თუ აბუ აიუბ ალ-ანსარი ქორწილში წავიდოდა და დაინახავდა ფარდას, ის იქედან ბრუნდებოდა და ამბობდა: 'არავინ, ამ ადამიანის გარდა არ ფარავს სახლებს ქსოვილით. ჩვენ ასეთი ადამიანების საჭმელს არ ვჭამთ'

ერთ-ერთი სალაფი ამბობდა: 'ქორწილის სუნნა დაიკარგა. ძველად საკვებით სავსე თასებს მეჩეთში მიიტანდნენ და ყველა იქ მყოფი მიირთმევდა, მდიდრებიც და ღარიბებიც, საზოგადოების მაღალი და დაბალი ფენაც'.

მხოლოდ მდიდრებს თუ მიიწვევდნენ ასე ამბობდნენ: 'ეს ყველაზე ცუდი საჭმელია'.

თავი 46

უხვი ქველმოქმედება

სალაფების მორალსა და მანერებში შედიოდა ის, რომ ისინი უხვად გასცემდნენ ქველმოქმედებას ყველაფრით, დღე და ღამე, ფარულად და აშკარად. ვისაც არ ჰქონდა საჭმელი ან ფული, ქველმოქმედებას იმით ავლენდნენ, რომ სხვებს ზიანს არ აყენებდნენ. ალლაჰის სიტყვა:

რომელნიც გასცემენ მოწყალებას თავიანთი ქონებიდან ღამითა თუ დღისით, ფარულად თუ აშკარად, სწორედ, იმათ აქვთ საზღაური თავიანთ ღმერთთან. და არც შიში ჰქონდეთ და არც ინალვლონ.⁹⁶

და ალლაჰის სიტყვა:

ვერასოდეს მიაღწევთ ღვთისნიერებას, თუ არ გაიღებთ იმას, რაც გიყვართ. და რაც უნდა გაიღოთ, ჭეშმარიტად, ალლაჰმა იცის!⁹⁷

აბდულ აზიზ იბნ უმარი: 'ლოცვა გზის ნახევრამდე მიგიყვანს, მარხვა მეფის კარამდე, ხოლო ქველმოქმედებით მეფის თანხლებით შეხვალთ' იგი ასევე ამბობდა: 'ჩვენთვის სიმდიდრე სიკეთის საწინდარია.'

⁹⁶ზაყარა 2:274

⁹⁷ალი იმრან 3:92

სალაფების მანერებიდან იყო ისიც, რომ უღიმოდნენ მთხოვნელს და ეჭვით არ უყურებდნენ; ისინი ფიქრობდნენ, რომ მთხოვნელი მხოლოდ გაჭირვების გამო ითხოვდა.

სუფიან ას-საური ძალიან გახარებული იყო თუ კართან მათხოვარს დაინახავდა და ეუბნებოდა: 'კეთილი იყოს შენი მობრძანება, ვინც ჩემი ცოდვების გასაწმენდად მოვიდა.'

ფუდაილ იბნ იადი: 'მათხოვრები კარგი ხალხია. მათ ჩვენი საზრდო უსასყიდლოდ მიაქვთ საიქიოში სანამ ღმერთის წინაშე სასწორს არ დადებენ.'

თავი 47

ძმების არჩევა

სალაფების მორალსა და მანერებში იყო ის, რომ ძმებად იმას ირჩევდნენ, ვინც, მათი აზრით შეასრულებდა მათ მოვალეობას. თუ შენი ძმა არ ასრულებს შენს მიმართ თავის მოვალეობას, მაშინ ის არ ზრუნავს შენს კეთილდღეობაზე.

მორწმუნეთა მმართველი ალი ამბობდა: 'ყველას უნდა გყავდეთ ძმები, ისინი საარსებო წყაროა როგორც ამქვეყნიურ, ისე იმქვეყნიურ ცხოვრებაში. ნუთუ არ წაგიკითხავთ ჯოჯოხეთის მკვიდრთა გოდება? (ალლაჰის სიტყვა:)

და არავინ გყავს შემწე. და არც ერთგული მეგობარი.⁹⁸ '

იმამ აშ-შაფი ამბობდა: 'ძმებთან საუბრისა და ღამის ლოცვის გარეშე, სჯობდა საერთოდ არ ვყოფილიყავი ცოცხალი.'

ერთი სალაფი ამბობდა: 'ჭკვიანმა ადამიანმა თავი უნდა შეიკავოს სამ ადამიანთაგან ძმობისგან: სულელთან, მატყუარასთან და უსინდისოსთან. რაც შეეხება სულელს, ის არასდროს ლაპარაკობს შენზე კარგად და არც უნდა ელოდო მისგან რომ დაგეხმარება უბედურების თავიდან აცილებაში. მისი დუმილი უკეთესია, ვიდრე ლაპარაკი, მისი სიშორე უკეთესია ვიდრე სიახლოვე. რაც შეეხება მატყუარას, მასთან ვერასდროს იქნები მშვიდად, ის ავრცელებს შენზე ჭორებს; თესავენ სიძულვილსა და მტრობს შენსა და ხალხს შორის. უსინდისო კი თავს გაჩვენებს, რომ სიკეთე უნდა შენთვის და არ გეხმარება რელიგიის არცერთ საკითხში.'

⁹⁸ შუღრა 26:100-101

გაითავისე ეს ძმაო და გამოიკვლიე შენი სული. დაფიქრდი, შეასრულე თუ არა შენი ძმის უფლებები და თავი თუ შეიკავე მათი ზიანისგან? ალლაჰის კმაყოფილებისთვის დადიხარ მათთან თუ პირადი მიზნების გამო? ყველაფერი რაც ალლაჰის კმაყოფილებისთვის არ არის, საზიანოა მათთვის ვინც თავყვანისცემას ასრულებს.

თავი 48

მტრობის არგამოხატვა

სალაფების მორალსა და მანერებში ისიც იყო, რომ არ გამოხატავდნენ მტრობას ღმერთის მორჩილი ადამიანების მიმართ. ისინი არავის უპირისპირდებოდნენ მაშინაც კი, თუ მათ მიმართ ვინმე მტრობას გამოხატავდა.

გადმოცემის თანახმად, დავუდმა თავის შვილს უთხრა: 'ერთი მტერიც კი არ ჩათვალო ცოტად, ათასი მეგობარიც არ ჩათვალო რომ ბევრია.'

იმამი შაფი: 'ათასი მეგობარი ერთი ადამიანისთვის საკმარისი არ არის; მაგრამ ერთი მტერი ნამდვილად ბევრია.'

გადმოცემის თანახმად აიუბს ჰკითხეს: რა იყო თქვენთვის ყველაზე მავნებელი გაჭირვების დღეებში? მან უპასუხა: 'ჩემი მტრები ხარობენ ჩემი უბედურებით.'

ერთ-ერთმა სალაფმა თქვა: 'დედამიწაზე ყველა მონაპოვარი დროებითი საცდურია, არცერთი ბედნიერი ადამიანის ბედნიერება სამუდამო არ არის. ასე უთხარით დაუძლურებულებს: მოემზადეთ, რადგან ამ სამყაროში როლები იცვლება.'

მუჰამმად იბნ მაყაატილი: 'არ მიაყენო ზიანი არავის. აპატიე შენს ძმას ისე, როგორც საკუთარ თავს ამართლებ' შემდეგ ამბობდა: 'თუ ცუდად იქცევი და შენს თავს პატიობ, მაშინ რატომ ხედავ სხვის თვალში მტერის ნაწილაკს და შენს თვალში კი ხის ტოტსაც ვერ ხედავ?'

თავი 49

განშორება ცოდვილებისგან

სალაფების მორალსა და მანერებში იყო, რომ ისინი ყოველთვის შორდებოდნენ ცოდვილებს. ალლაჰმა გვაცნობა თუ როგორც უთხრა იბრაჰიმმა თავის ხალხს:

და მე გაგეცლები თქვენ და იმათ, რასაც ეთაყვანებით ალლაჰის მაგივრად. და მე შევედრები ჩემს ღმერთს. ჩემი ღმერთისადმი ვედრებით უბედური არ ვიქნები. ხოლო როცა მოშორდა მათ და იმათ, რასაც ისინი ეთაყვანებოდნენ ალლაჰის მაგივრად, ვუბოძეთ მას ისჰაყი და ია'ყუბი და ორივენი დავადგინეთ შუამავლებად.⁹⁹

აბუ საიდ ალ-ხუდრი გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ის დრო ახლოსაა, როცა მუსლიმის საუკეთესო ქონება იქნება ცხვარი, რომელსაც იგი წაიყვანს მთაზე და წვიმიან ადგილებში, რათა გაიქცეს მისი რელიგიით ფიტნისგან (ცდუნება)¹⁰⁰

ჰასან იბნ სალიჰი: 'ჩვენ ისეთ ხალხთან ერთად ვიყავით, რომლებსაც ერთმანეთი შორიდან უყვარდათ, თუმცა არ სურდათ მათთან შეხვედრა.'

სუფიან ას-საური: 'ეს არის სახლებში დარჩენის დრო და საკუთარი მცირე ქონებით დაკმაყოფილება სიკვდილამდე. და ასევე ამბობდა: 'ჩვენ შევხვდით ხალხს, რომლებიც ავადმყოფობის წამლები იყვნენ. დღეს კი ადამიანები უკურნებელ სნეულებებად იქცნენ.'

გაიაზრე ეს ძმაო და ურთიერთობა დაამყარე ალლაჰის მორჩილ ადამიანებთან, მაგრამ თუ ისინი ჰარამ საქმეში არიან და ასევე აჭარბებენ ჰალალ საქმეებშიც, მაშინ მიატოვე ისინი. ქება-დიდება ალლაჰს, სამყაროთა ღმერთს.

თავი 50

თავმდაბლობის ზრდა

სალაფების მორალში იყო ის, რომ ყოველ ჯერზე, როდესაც რომელიმე მათგანი ალლაჰის მიმართ მორჩილებას უმატებდა, მისი თავმდაბლობაც იზრდებოდა. ღმერთთან ჭეშმარიტი კავშირისა და მასთან სიახლოვის ნიშნებიდან ის არის, რომ ადამიანი თავმდაბალია. ალლაჰის სიტყვა:

სწორედ ის საბოლოო სამყოფელი დავადგინეთ მათთვის, რომელთაც არ სურთ გამედიდურება დედამიწაზე და უკეთურობის გავრცელება, ხოლო კეთილი ბოლო ღვთისმოშიშებისაა.¹⁰¹

⁹⁹ მარიამ 19:48-49

¹⁰⁰ ბუხარი 19

¹⁰¹ ყასას 28:83

აბდულლაჰ იბნ მას'უდი გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ვის გუშიც მტვრის ოდენა სიამაყეც იქნება სამოთხეში ვერ შევა.¹⁰²

აბუ მუსლიმ ალ-ხავლანიმ თქვა: 'მხოლოდ ბოროტი ხალხია ამპარტავანი, მხოლოდ სუსტები ტრაბახობენ და სიცრუის მხოლოდ დაბალი მორალის ადამიანებს შურთ.'

როდესაც აბუ ჰურაირა ხალიფა მარვანის დროს მედინას მმართველი იყო, ის თავს ზემოთ შეშის შეკვრას ატარებდა და ამბობდა: 'გზა გაუთავისუფლეთ თქვენს ამირს'.

აბუ აიუბ სახტიანი ამბობდა: 'სწავლულმა ალლაჰისადმი თავმდაბლობის ნიშნად თავზე მიწა უნდა დაიდოს.'

ალ-ჰასან მუსამ ახსენა აიათი: **მოწყალის მსახურნი ისინი არიან, რომელნიც მოკრძალებულად დადიან ქვეყანაზე**¹⁰³ და თქვა: მორწმუნეები აქ არიან აღწერილნი. ვფიცავარ ალლაჰს, მათი თვალები, ყურები და სხეული ისე მდაბლდება, რომ უმეცარი ადამიანი მათ ავადმყოფად ჩათვლის, მაგრამ ვფიცავარ ალლაჰს, ისინი ავად არ არიან, არამედ ისინი არიან ნამდვილი გულის მფლობელი ხალხი. მათ გულებში შიში შევიდა ისე, როგორც არავისთან. მათმა ცოდნამ საიქიოს შესახებ ხელი შეუშალა, რომ მიწიერით დამტკბარიყვნენ. ისინი ამბობდნენ: დიდება ალლაჰს, რომელმაც სევდა მოგვაშორა. ისინი არ მწუხრდებოდნენ იმით, რაც ხალხს ამწუხრებდა, ისინი მხოლოდ ცეცხლის შიშით ტიროდნენ.

თავი 51

სიკეთის დაფასება

სალაფები არ უგულვებლყოფდნენ არანაირ სიკეთეს რომელიც შარიათში იყო ნებადართული.

ისინი ნავაფილის (დამატებითი/მეზაყოფლობითი) შესრულებას ერიდებოდნენ მანამ, სანამ არ შეასრულებდნენ სავალდებულოს.

აბუ ზარი გადმოსცემს: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: უმნიშვნელოდ არ ჩათვალოთ არცერთი სიკეთე, თუნდაც შენს ძმაზე მომღიმარი სახით შეხვედრა.¹⁰⁴

¹⁰²მუსლიმი 91

¹⁰³ფურყან 25:63

¹⁰⁴მუსლიმი 2626

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: 'კეთილი სიტყვა მოწყალებაა.'¹⁰⁵

ჰასან ალ-ბასრი: 'ნებაყოფლობითი/დამატებითი ღვთისმსახურებები მათთვისაა ვინც შეასრულა სავალდებულო საქმეები.'

სალმან ალ-ფარისი ამბობდა: 'ის, ვინც ასრულებს არასავალდებულო საქმეებს, მაგრამ არ შეუსრულებია სავალდებულო, ჰგავს ვაჭარს, რომელმაც დაკარგა კაპიტალი, მაგრამ მაინც იმედოვნებს რომ მოგება ექნება.'

იუნუს იბნ უბეიდი: 'ვინც არასავალდებულო საქმეებს აკლებს, ის სავალდებულოსაც მოაკლებს.'

ძმაო, მოუხშირე ნებაყოფლობით საქმეებს მას შემდეგ, როცა შეასრულე სავალდებულოს და ნუ ჩათვლის მას უმნიშვნელოდ. ქება-დიდება ალლაჰს სამყაროთა ღმერთს.

თავი 52

გაცნობიერე რომ ცოდვილი ხარ

სალაფების მორალსა და მანერებში ისიც იყო, რომ ისინი ყოველ დღე და ღამე მრავლად პატიებას ითხოვდნენ და ცოდვებს ინანიებდნენ, რადგან აცნობიერებდნენ, რომ ცოდვებისგან თავისუფალნი არ იყვნენ კარგ საქმეებშიც კი. ალლაჰი ამბობს:

...მორწმუნეო! მოიანიეთ ალლაჰის წინაშე, რათა ეგების ნეტარ იქმნეთ.¹⁰⁶

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ო ხალხო! პატიება სთხოვეთ ღმერთს, მე ღმერთს, პატიებას დღეში სამოცდაათჯერ ვთხოვ¹⁰⁷

ერთ-ერთი სალაფი ამბობდა: 'ვინც დილით და საღამოს არ მოინანიებს, ის უსამართლოთაგანია.' ალლაჰი სიტყვა:

...და ვინც არ მოინანიებს... სწორედ ისინი არიან უსამართლონი¹⁰⁸

იაჰია იბნ მუაზი ამბობდა: 'მონანიების შემდეგ ერთი შეცდომა უფრო მახინჯია, ვიდრე მანამდე სამოცდაათი შეცდომა.'

¹⁰⁵ბუხარი 2989

¹⁰⁶ნურ 24:31

¹⁰⁷მუსლიმი 2702

¹⁰⁸ჰუჯურათ 49:11

სუფიან იბნ უიანას ჰკითხეს: 'რა არის გულწრფელი მონანიების ნიშნები? მან უპასუხა: ოთხი რამე: მიწიერი სარგებლის მცირედით კმაყოფილება, თავმდაბლობა, ღმერთთან დაახლოების მრავალი გზის ძიება მორჩილებით და ამაში საკუთარი ნაკლოვანებებისა და უმნიშვნელობის დანახვა.'

ფუდაილ იბნ 'იადი მუჯაჰიდებს ჯიჰადში წასვლამდე ეუბნებოდა: 'მოინანიეთ, რადგან ეს თქვენგან იმას განდევნის რასაც ხმლები ვერ შეძლებენ.'

უმარ ბინ ხატტაბი: 'იჯექით მათთან ვინც ხშირად ინანიებს, რადგან მათ ყველაზე რბილი გული აქვთ.'

გააცნობიერე ეს ძმაო, და სანამ ამქვეყნად ხარ, მოუხშირე პატიების თხოვნას, რადგან მონანიება ალ-ჯაზბარის რისხვას აქრობს. ნუ იფიქრებთ, რომ თუ სიკეთეს აკეთებთ ამით ცოდვები ქრება, რადგან კეთილ საქმეებს შეიძლება ჰქონდეს წინაპირობები რომლებიც თქვენ არ შეასრულებთ. იცოდე, რომ მორწმუნე არ დაკმაყოფილდება მანამ, სანამ სამოთხეში არ შევა. ქება-დიდება ალლაჰს სამყაროთა ღმერთს.

თავი 53

მოუწოდე სიკეთე და დაგმე ბოროტება

სალაფების მორალსა და მანერებში იყო ის, რომ მოუწოდებდნენ სიკეთისკენ და კრძალავდნენ ბოროტებას. ზოგიერთ ადამიანი ფიქრობს, რომ სიკეთისკენ მოწოდება და ბოროტების აკრძალვა მათი საქმეა ვინც ცოდვებისგან თავისუფალიაო, თუმცა ეს არასწორი შეხედულებაა. ასე რომ იყოს, მაშინ, ვერავინ შეძლებდა სიკეთისკენ მოწოდებას რადგან ყველა ადამიანი ცოდვილია და ყველა რაღაცას აშავებს.

ერთი სალაფი ამბობდა: 'თუ ცოდვილებს არ შეუძლიათ არავისზე რჩევის მიცემა, მაშინ, მუჰამადის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) შედეგ ამას ვერავინ შეძლებდა.'

ალლაჰის სიტყვა:

(ო, მორწმუნენო!) და იყოს თქვენგან თემი სიკეთისკენ მომწოდებელი, მბრძანები მოსაწონისა და უკეთურების შემკავებელი, და სწორედ ისინი არიან ნეტარნი. ¹⁰⁹

თქვენა ხართ ყველაზე საუკეთესო თემი, ვინც კი მოვლენილა ხალხთა შორის, ბრძანებთ სასურველს და კრძალავთ საძულველს, და გწამთ ალლაჰის. ¹¹⁰

¹⁰⁹ალი იმრან 3:104

¹¹⁰ალი იმრან 3:110

აბუ საიდი გადმოსცემს: გავიგონე ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ამბობდა: 'ვინც ხედავს ბოროტებას, მაშინ გამოსწოროს თავისი ხელით; თუ ეს არ შეუძლია, მაშინ თავისი ენით; თუ ესეც არ შეუძლია, მაშინ თავისი გულით უარყოს და ეს არის რწენის ყველაზე სუსტი გამოვლინება.'¹¹¹

ჰუზაიფა იბნ იამანმა თქვა: 'დადგება დრო, როდესაც შეკრებები ვირის გვამს დაემსგავსება, რაც ხალხისთვის უფრო სასურველი იქნება, ვიდრე მორწმუნეებთან ჯდომა, რომელიც მათ მოუწოდებს სიკეთეს და ცუდს აუკრძალავს.'

სუფიან ას-საურის ჰკითხეს: 'უნდა ბრძანოს ადამიანმა სიკეთე, როცა იცის რომ მეორე ამას უარყოფს? მან უპასუხა: 'კი, რადგან ალლაჰის წინაშე გამართლებული იყოს' (მისი მოვალეობის შესრულებისთვის)

მალიქ ბინ დინარმა თქვა: 'სიკეთემ ტირილი დატოვა და ბოროტებამ სიცილით დაასრულა.'

შემდეგ ამბობდა: 'წავიდნენ ადამიანები რომლებსაც სიკეთის კეთების სურვილი ამოძრავებდათ - უსამართლობების გამომსწორებლები. მე კი დავრჩი იმ თაობაში რომლებიც ერთმანეთს აქებენ; ამიტომ ერთი ბრმა არ ეუბნება მეორეს 'ბრმა ხარო.'

სიტყვები 'ტირილი დატოვა' ნიშნავს: ესეიგი დატოვა 'გულწრფელი სინანული, სიმდაბლე, თავმდაბლობა და სერიოზულობა.'

თავი 54

არ იამაყო საკუთარი საქმეებით

სალაფების მორალსა და მანერებში იყო ის, რომ არასოდეს ამყობდნენ საკუთარი საქმეებით, არამედ ისინი თვლიდნენ, რომ საქმეებში ნაკლოვანებები ჰქონდათ.

მუტარიფ იბნ აბდულლაჰმა თქვა: 'ჩემთვის უფრო სასურველია ღამის ძილში გატარება და სინანულით გაღვიძება, ვიდრე ლოცვაზე დგომა და საკუთარი თავით სიამაყე.'

თუ სალაფებს აქებდნენ, ისინი იტყოდნენ: 'ღმერთო, გამხადე იმაზე უკეთესი რასაც ამბობენ და მაპატიე რაც მათ არ იციან.'

¹¹¹ნასაი 5008

უმარი (აღლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) ამბობდა: 'ო აღლაჰ, მე გთხოვ შენ დაცვას იმ ცუდისგან, რასაც ისინი ამბობენ და შენგან პატიებას ვითხოვ იმის გამო რაც მათ არ იციან.'

ბიშრ ალ-ჰაფი: 'თუ დაინახავ ადამიანს, რომელიც თავისი ცოდნით და საკუთარი თავით ამაყობს, მაშინ, იცოდე, რომ წარუმატებლობა სისრულეში მოიყვანა.' (ე.ი წინ ვერ წავა რელიგიაში)

აბდულ აზიზ იბნ აბი რავადი ამბობდა: 'თუ ჩვენ ერთმანეთში სალაფების მდგომარეობას გავიხსენებთ, მაშინ ყველანი გამოვაშკარავდებით.'

რას ნიშნავს გამოვაშკარავდებით? სალაფების სტანდარტები აბსოლუტურად მაღალია. ისინი იყენენ ყველაზე ღვთისმომშიში, გულწრფელი, რელიგიის მკაცრად დამცველები. თუ ჩვენს ცხოვრებას მათ სტანდარტებს შევადარებთ, მაშინ ჩვენი შეცდომები და ნაკლოვანებები აშკარად გამოჩნდება.

ეს სიტყვები მოგვიწოდებს თავმდაბლობას.

ანუ: არავინ უნდა დაიკვივხნოს „მე უკეთესი ვარ“, „მე მართალი ვარ“, „მე ვიცხოვრებ სრულყოფილად“. თუ სალაფების მაგალითს გავიხსენებთ, გამოვა, რომ მათთან შედარებით პატარები ვართ და ბევრი შეცდომები გვაქვს.

და ეს შეგონება ასევე არის თვითკრიტიკისკენ მოწოდებაც.

თუ ადამიანს ჰგონია, რომ სრულყოფილია, საკმარისია ჩაიხედოს სალაფების ცხოვრებაში და მაშინვე დაინახავს, რამდენად შორსაა მათგან მორალით თუ ღვთისმოსაობით და რამდენად ბევრი აქვს საკუთარ თავზე სამუშაო.

თავი 55

ლოცვისთვის მზადება

სალაფების მორალსა და ზნეობაში იყო ის, რომ ყოველი ლოცვისთვის გულისყურით ემზადებოდნენ. როცა აზანს გაიგონებდნენ, მაშინვე ემზადებოდნენ სალოცავად. ჰადისში ნათქვამია: 'ყოველდღიური ხუთი ლოცვა, და ერთი ჯუმა მეორე ჯუამდე (პატარა) ცოდვების გამოსასყიდია თუ არ შესრულებულა დიდი ცოდვები.'¹¹²

ალი იბნ ჰუსეინს აბდესის დროს სახეზე ფერი ეცვლებოდა და რომ ჰკითხეს: რა გემართება აბდესის აღების დროს? უპასუხა: 'ხვდები თუ არა, ვის წინაშე ვდგები?'

¹¹²მუსლიმი 233

თავი 56

სიფრთხილე ვაჭრობასთან დაკავშირებით

სალაფების მორალში შედიოდა ისიც, რომ თავს იკავებდნენ ბაზრებში ჯდომისგან ყიდვა-გაყიდვის მიზნით, თუ არ იცოდნენ ვაჭრობის წესები. ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ ადამიანი არ უნდა იყოს დაკავებული ბიზნესით ისე ღრმად, რომ დაავიწყოს შემდგომი ცხოვრება, რადგან დავიწყება არის უბედურება როგორც ამქვეყნად, ისე იმქვეყნად.

იმამ მალიქი მმართველებს მიმართავდა, რომ შეეკრიბათ ვაჭრები, რათა მათ ენახა ისინი. თუ ის იპოვიდა ისეთს, ვისაც არ ესმოდა ვაჭრობის/ბიზნესის წესები, ან არ იცოდა რა იყო ნებადართული და რა იყო აკრძალული, ის უჩერებდა საქმეს და ეუბნებოდა: 'ისწავლე ყიდვა-გაყიდვის წესები და შემდეგ შეგიძლია დაჯდე ბაზარში, რადგან ის, ვისაც ღრმა ცოდნა არ აქვს, ნებით თუ უნებლიედ პროცენტს მოიხმარს.'

დასასრული

ასე დასრულდა ეს ნაშრომი და ყველა ქება-დიდება ერთადერთ ალლაჰს ეკუთვნის. ვთხოვ ყოვლისშემძლე ღმერთს, რომ მიიღოს ჩვენგან ეს ძალისხმევა და სიკეთით გადაგვიხადოს განკითხვის დღეს. ალლაჰის ლოცვა და სალამი მუჰამმადს, მის ოჯახს და მის თანამოღვაწეთ.



